ხობის მოამბე

№13 (7108) 27 დეკემბერი,
ხუთშაბათი, 2018 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„ოვითშეფასებიერ ადამიანი ნაკლია საკუთარის ყოველთვიანის საფასურებისა. საცა უნდა დაანაცვალოთ, იქი ყველაფერი ხერხებს... ყოველი სასოებიერი, რომელიც ტუსაღად ცოდეთ თუ ბოროტად დაძალვანი, ხასიერი-ხასიერალად ანის დაყოფილი, რომ მოვდეს და ანგრევინებდეს ადგილი იყოს.”

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, თელავში ფიცი დადო

• • • ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი.

ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი, დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები.

• • • დღეს, როგორც მრავალჯერ თავისი ისტორიის განმავლობაში, საქართველო ისევ გზაჯვარედინზეა,–კიდევ ერთხელ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე. აქ, თელავში, კარგად ჩანს ჩვენი განვლილი გზა – ბრძოლებით, გამოწვევებითა თუ წარმატებებით. ეს ადგილი ქართველი ერისთვის, ერთგვარად, ისტორიული მეხსიერების ბარათია:

• • • თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენით დავუბრუნდით ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, დღეს ჩვენს წინ ისევ გადამწყვეტი ეტაპია. ქვეყნის გაერთიანება, საზოგადოების დამშვიდება, გაძლიერება და ევროპაში ჩვენი ადგილის დამკვიდრება – ეს არის ჩემი უმთავრესი მიზანი.

• • • ჩვენ წლები დავკარგეთ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.

• • • ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა.

ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ, და უნდა შევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით.

საახალწლოდ...

„ამ ახალწლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალაუნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალღონისდაგვარად რაც–კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს–ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის–რომლის ღვიძლი შვილია,–რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს)“.

ვაჟა-ფშაველა

ფეხბედნიერი ყოფილიყოს!

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ხობის მუნიციპალიტეტს და სულიად საქართველოს! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

2018 წელი, როგორც ქვეყნისთვის, ასევე ხობის მუნიციპალიტეტისთვის ნაყოფიერი და წარმატებული იყო.

განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, თუმცა მდგრადი ეკონომიკური განვითარება და უკეთესი სოციალური პირობები ხელისუფლების მუდმივი ზრუნვის საგანია და ჩვენთვის პრიორიტეტად რჩება ხალხის აზრი, ინტერესები და მისწრაფებები.

გეზი, რომელიც მმართველ გუნდს აქვს აღებული, აუცილებლად მიგვიყვანს თითოეული ოჯახის სოციალური პირობების გაუმჯობესებამდე. დღეს გვაქვს საფუძველი, გვქონდეს რეალური მოლოდინი, რომ 2019 იქნება წარმატებების წელი და დაგეგმილი პროექტები აისახება თითოეული ოჯახის კეთილდღეობაზე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგს, ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2019 წელი. ბედნიერად გაგთენებოდეთ შობა-ახალი წელი.

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი.

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

ძვირფასო ხობელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, სიყვარულს და ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს.

ახალ წელს ვულოცავ ჩვენს ახალგაზრდებს! თქვენ ამ ქვეყნის ხვალინდელი დღე ხართ! მინდა იცოდეთ, რომ თქვენი წარმატებები ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარია!

განსაკუთრებულად მინდა, მივულოცო იმ ადამიანებს, ვინც დღეს საქართველოში არ იმყოფება. მომავალი წელი სამშობლოში მათი დაბრუნების წელი ყოფილიყოს.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ჩვენმა სამშობლომ ბევრ განსაცდელს და წინააღმდეგობას გაუძლო. რადგან ქართველი კაცი თავისი ნიჭითა და

უკეთესი მომავლის რწმენით

შრომისმოყვარეობით მუდამ ახერხებდა ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებას.

მიმდინარე წელი, მართლაც რომ, ნაყოფიერი აღმოჩნდა ხობის მუნიციპალიტეტისთვის. განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი– კეთილმოეწყო გზები, საბავშვო ბაღები, აშენდა წყლისა და მელიორაციის სისტემები. ამის გარდა განხორციელდა ათობით პროექტი, რითაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შესაძლებელი გახდა წამოგვეწყო უმნიშვნელოვანესი პროექტები, რომელთა მეშვეობითაც, ხობი მალე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო განვითარებული და კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი იქნება!

ყველას გისურვებთ სიმშვიდეს, მიმტევებლობას და უკეთესი მომავლის რწმენას. მჯერა, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ სწრაფვით და ურთიერთსიყვარულით შევქმნით ჩვენი მუნიციპალიტეტის უკეთეს ხვალინდელ დღეს.

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი

მშვიდობისა და კეთილდღეობის წელი ყოფილიყოს

ძვირფასო ხობელებო! დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ქართველებისთვის ეს დღესასწაული, ტრადიციულად ასოცირდება უკეთესობისკენ მუდმივ სწრაფვასთან, საუკეთესო შედეგების მისაღწევად. ესაა ღირებულებები, რომლებმაც ჩვენს ხალხს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიო ცივილიზაციაში და მოგვიყვანა დღემდის. ეს გენეტიკური ძალა გვაერთიანებს ჩვენი მომავალი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ბრძოლაში, რათა ვაშენოთ ქართულ ტრადიციებზე და ღირებულებებზე დაფუძნებული ძლიერი სახელმწიფო.

ხობის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას გვაქვს რეალური საფუძველი მოგმართოთ ჩვენს მოქალაქეებს საახალწლო დაპირებებით, რომ თქვენი კეთილდღეობისა და ეკონომიკური აღმავლობის გასაუმჯობესებლად კიდევ უფრო მეტი ეფექტური და მნიშვნელოვანი სამომავლო პროექტები განვახორციელოთ.

განსაკუთრებით მინდა მოგილოცოთ იმ ადამიანებს და ოჯახებს, რომლებიც დღესასწაულს გაჭირვებაში ხვდებით, დაე, ეს წელი ყოფილიყოს თქვენი წინსვლისა და გაძლიერების!

გილოცავთ და გისურვებთ, რომ დამდეგი ახალი წელი ყოფილიყოს მშვიდობის, ბედნიერების, დღეგრძელობის, კეთილდღეობისა და წარმატებების მომტანი ჩვენი ქვეყნისა და ყოველი თქვენთაგანისთვის!

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გულითადად გილოცავთ!



ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლებო, კოლეგებო, მეგობრებო, გულითადად გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას.

იხარეთ, იმრავლეთ მრავალჟამიერ! განსაკუთრებულ მადლობას გიხდით თანადგომისთვის, ერთგულებისა და პრინციპული არჩევანისთვის ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

ბორის ბერაია.
მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი.

უფალმა გაგაძლიეროთ!

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო ხობელებო! სულითა და გულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. 2019 წელი ყოფილიყოს სიკეთის, ბედნიერების, სიყვარულის, რწმენის, თქვენი ოჯახების და ჩვენი ქვეყნის სიძლიერის და ოცნებების ახდენის წელი.

2018 წელი ხობის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეების წელი იყო. განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი, გაკეთდა გზები, მოეწყო სანიაღვრე არხები, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სააღმზრდელო დაწესებულებებს, განხორციელდა ათობით პროექტი, რითაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები; პატარა ფოთსა და საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო ცემენტო-ბეტონის საფარიანი გზა, პირველ მაისში, საკვიკვინიოს უბანში განხორციელედა გზის რეაბილიტაცია, გზა გაკეთდა თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში. სოფელ პირველ გურიფულში გაკეთდა სასაფლაომდე მისასვლელი გზა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა შუა ხორგაჭალადიდი-ყულევის გზას, აღნიშნულ მონაკვეთზე განხორციელდა სასმელი წყლის მონტაჟი.

კეთილმოეწყო ქალაქის ქუჩები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ყორათისა და ხორგის ხიდებს.

მიმდინარეობს ქალაქ ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ასევე მიმდინარეობს ნარაზენი-ძველი ხიბულა-ახალი ხიბულა-ზუბის, ხობი-ბია-საჯიჯაოს გზის რეაბილიტაცია. აქტიურად მიმდინარეობს ხობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რომელიც 2019 წელს დასრულდება.

ბუნებრივია, ახალ წელს ახლავს ახალი იმედები, მოთხოვნები და გამოწვევები, ჩვენ გვჯერა, რომ ქვეყნის ხელისუფლების სწორი პოლიტიკით, სწორედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, თქვენი ერთიანობის და თანადგომის შედეგად, ყველაფერს გავაკეთებთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გვერწმუნეთ, ჩვენ ვემსახურებით თქვენი ინტერესების დაცვას. მიგულეთ თქვენს გვერდით და გულშემატკივრად. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

პატივისცემით

ვლადიმერ ქანთარია,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

მრავალს დაესწარით!

გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს ჩემო ხობელებო! გისურვებთ, 2019 წელი ყოფილიყოს ჯანმრთელობის, ხვავის, ბარაქის, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დატვირთული წელი თითოეული თქვენთაგანის, მთლიანად საქართველოს და სრულიად სამყაროსთვის! ახალი წელი განსაკუთრებით მიყვარს და არასოდეს არავის ვუთმობ ნაძვის ხის მორთვას. ყოველ წელს მაქვს განცდა, რომ ჩემ ცხოვრებაში რაღაც ახალი, საუკეთესო იწყება.

მინდა საქართველოში ყველას ბედნიერების მოლოდინი ჰქონდეს, მინდა ყველასთვის ბედნიერი წელი იყოს და, რაც მთავარია, მშვიდობას ვუსურვებ.

2019 წელს სოციალური პაკეტში სიახლეებია შშმ პირებისათვის, რადგან ეს ადამიანები სახელმწიფოსგან, მეტ ყურადღებას საჭიროებენ, მათ ეძლევათ საშუალება სამედიცინო გამოკვლევების იმ ნაწილში მიიღონ დახმარება, რომელსაც არ ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვა. კერძოდ გეგმიურ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევების თანადაფინანსება, ასევე შშმ 6-18 წლამდე ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს, შ.შ.მ ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო მუშაობას.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება. მოხდება 0-18 წლამდე ბავშვების სამედიცინო სარეაბილიტაციო დახმარების თანადაფინანსება.

სახელმწიფო პროგრამით სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთაც ყავთ არასრულწლოვანი ბავშვები და მინიჭებული აქვთ 100000-და ნაკლები ქულა, მათი ყოველთვიური დახმარება გაიზრდება 10 ლარიდან 50 ლარამდე.

2020 წლისთვის სოციალური პაკეტიდან თანდათანობით ამოვა ერთჯერადი დახმარებები, რომელიც გრძელვადიან შედეგებზე და დაფინანსების ეფექტურობაზე არ არის გათვლილი და ამიტომ თანხები მიიმართება ინოვაციური პროექტების, კერძოდ მოწყვლადი ჯგუფის უნარ-ჩვევების განვითარებაზე, განათლებაზე, ფსიქო- რეაბილიტაციაზე,სოციალური სახლების შექმნაზე, მოწყვლადი ჯგუფის მოვლა-პატრონობაზე და ა.შ.

და ბოლოს, ჩვენი პატრიარქის ილია მეორის სიტყვებით დაგლოცავთ, „კურთხევა უფლისა თქვენზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

მრავალს დაესწარით.

შოლინა კანკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი.

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

„შობა ნამდვილად მოვა“...

სტუდენტობისას ინგლისურიდან ვთარგმნე ტომაზ სტერნზ ელიოტის დიდებული ლექსი „შობის მისტერია“. სადაც გენიალური ამერიკელი ამბობს:

„ვიცი რომ შობა ნამდვილად
მოვა,
ქვეყანას ცაც რომ დაექცეს
თავზე,
არ ვიცი ოღონდ როგორ მოვა
და რა მოლოდინებს
გაიასკეცებს,
და თუ როგორი იქნება იგი,
არა ღმერთს (აღარ სცალია
თქვენთვის),
არამედ მოხუცს ჰკითხეთ
და გეტყვით,
ის მარადისად საუბრობს
ცასთან!“..

–ამ ლექსის გავლენით, როცა მოხუცებთან ვსაუბრობ, ეს სტრიქონები მახსენდება და იმდენ რამეს ვეკითხები მოხუცთ, თავად ვდგები ხოლმე უხერხულ სიტუაციაში. რავქნა, მჯერა იმისა, რომ ხანდაზმულებმა უბევრესი რამეები იციან, მათ წლების სიმრავლითა და გამოცდილებით უსასრულობის ხმა აქვთ შემეცნებული. ამ მხრივ ჩვენი სოფელი ბედნიერია, მას მრავალ ხანდაზმულ ადამიანთან ერთად, საუკუნეს გადაბიჯებული ქალბატონი თამარ ჯალაღონია ჰყავს, ანგელოზებთან და ღვთისმშობელთან უშუალოდ მოსაუბრე.

ბევრ რამეზე გვისაუბრია ქალბატონ თამართან, მათ შორის ჩვენი ქვეყნის მომავალზე და მომავალ წელზეც და მისი ნათქვამიდან გამომდინარე, დამდეგი 2019 წელი იქნება ყოველნაირად გამორჩეული, ბედნიერებისა და მშვიდობის მომტანი წელი, მთავარია ერთმანეთი შევიყვაროთ, სიძულვილი და შური დავამარცხოთო.

ღმერთმა გისმინოთ, საყვარელო ადამიანო, მაგრამ შურისა და სიძულვილის დამარცხება რომ შეგვეძლოს, ჩვენზე უბედნიერესი ერი დედამიწაზე არ იარსებებდა, მაგრამ სწორედ ამ ბოროტებითმა სენმა შეგვაფერხა და გვიყელა უამრავჯერ. მაგრამ უნდა დაგეთანხმოთ იმაში–სიყვარული ქართველს რომ შეუძლია, ისე არავის ძალუძს დედამიწის ზურგზე! რომ არა სიყვარულის ნიჭი, ჩვენი სახსენებელიც არ იქნებოდა, მაგრამ სწორედ „ვეფხისტყაოსნურმა“ სიყვარულმა გადაგვარჩინა და აგვამაღლა. უანგაროდ აღქმულმა ღვთიურმა გრძნობამ, რომელიც ჩვენს ფოლკლორში ოქროს ასოებითაა ამოქარგული მიგვაახლოვა უფალთან:

„ვაიორქო მა,
ვამორწონქო მა.
იშენთ ქუგორლუაფუდა
სქანი ჭირიმა.“

ან კიდევ ხევსურული ნიმუში:

„ვერცხლის თასადამც
მაქცია.
რო ღვინით აგევსებოდე,
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსვამდე, შაგერგებოდე.“

მტრობით დანგრეულისსიყვარულით აშენებული ბედნიერებისაც გვჯერა და გვწამს.

უფალო, ღვთისმშობელო მარიამ, გადმოხედე ჩემს ქვეყანას და გაუთენე მას შობა-ახალ წელთან ერთად, ყოველი დილა და დღე-ბედნიერი, მშვიდობიანი და წარმატებული.

აცხონე ჩვენი კეთილმოსაგონარი მიცვალებულები და მოგვანიჭე ძალა ერთად ვუგალობოთ ღმერთს:

„ალილო და ჰოი, ალილო,
ანგელოზითა და უფლითაო,
შენამც გვემაღლებოდეო,
რწმენით გვადიდებდე და
იმედით გვამხნევებდეო...
ალილო და ჰოი,
ალილოოოო!“

გულით გილოცავთ, მრავალ შობა-ახალწელს, ჩემო გურფულელებო, ხობელებო და სრულიად საქართველოვ!

ნანა გვასალია.

უთვალავი წელი დაგბედებოდეთ!..

ახალი წელი ასთერთმეტჯერ მობრძანდა ჩემთვის, რაც ხვთის უდიდესი საჩუქარია. ღმერთმა ეს სიკეთე ჩემთვის ალბათ იმიტომ გაიმეტა, რომ არასოდეს შურიანი, ბოროტი, არც ენამწარე არ ვყოფილვარ, პირიქით, ყოველთვის სხვისი სიამოვნება და სიკეთე მსურდა. მინდოდა ყველა ბედნიერი და სიკეთით სავსე ყოფილიყო. ამიტომაც ვემადლიერები ღმერთს, მისი მჯერა და მწამს.

ჭალადიდელი გოგოგნა ვიყავი, ძალიან ახალგაზრდა დავქორწინდი მეორე გურიფულელ გალა წულაიაზე. 2 შვილის–ქალ-ვაჟის დედა გავხდი, როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო ჩემი ქმარი წაიყვანეს. ჩემდა საუბედუროდ, იქიდან აღარ დაბრუნებულა. დაიღუპა ბრძოლის ველზე. დავრჩი ორი მოხუცისა და 2 შვილის ამარა მარტოდმარტო. ძალიან ღარიბად ვცხოვრობდით. ბავშვები რომ გამეზარდა და მოხუცებზე მეზრუნა. დიდ შრომასა და ჯაფაში ვიყავი, კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში ვმუშაობდი, როცა შვილები წამოიზარდნენ, შრომა შემიმსუბუქდა. შემდეგ ვაჟიშვილის გარდაცვალებამ დამრთგუნა... ღვთის წყალობით უამრავი შთამომავალი მყავს. ოთხი მოდგმის დიდი ბებია გახლავართ.

ახლა ყველა ახალი წლის მოლოდინშია.. ჩემს ოჯახშიც იქნება ფაცი-ფუცი. უფალს ვთხოვ ყველა ოჯახში იყოს მშვიდობა, სიამტკბილობა, ჯანმრთელობა, სიყვარული.

დიდი მადლობა მინდა გითხრათ თქვენ და თქვენი გაზეთის თანამშრომლებს. ხობის მერს ბატონ გოჩა ქაჯაიას და საკრებულოს თავმჯდომარეს ედიშერ ჯობავას ჩემდამი გაწეული დახმარებისთვის. განსაკუთრებული სითბო და სიყვარული მინდა გამოვხატო ჩვენი სოფლის ახალგაზრდა ხელმძღვანელის ნანა გვასალიას მისამართით, უფალი ფარავდეს მას და მის ოჯახს.

ახალ, 2019 წელს ქვეყნის გამთლიანება მოეტანოს, ხალხის კეთილდღეობა გაუმჯობესებულიყოს, ადამიანებს სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ჰქონებოდეთ.

თქვენ უფალმა ჩემსავით ყველას, ხანგრძლივი სიცოცხლე დაგაბედოთ!

თამარ ჯალაღონია,
მეორე გურიფულის მცხოვრები,
111 წლის.

ჩემო საყვარელო ხობელებო, მშობლიურო ხალხო!

გულმხურვალედ გილოცავთ დამდეგ 2019 წელს. გისურვებთ სიყვარულს, სიხარულს, ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს ოჯახებთან და ახლობელ ადამიანებთან ერთად.

მე თქვენი შვილი ვარ, თქვენ გამზარდეთ, თქვენ მასწავლეთ სიტყვა, საქმე, სიყვარული, ერთგულება, შრომა და გულისხმიერება. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მუდამ ვცდილობდი სიკეთითა და სიყვარულით გადამეხადა ის ზრუნვა, რაც ჩემზე გასწიეთ. პატიებას გთხოვთ თუ ვალში ვარ თქვენს წინაშე.

ჩემო ძვირფასებო! გიყვარდეთ ერთმანეთი.

მინდა ჩემი სიხარული გაგიზიაროთ, იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა ღირსეული პრეზიდენტი აირჩია, დარწმუნებული ვარ, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ღირსეულად შეასრულებს ამ საპატიო მოვალეობას.

მინდა ჩემი საყვარელი ადამიანის–ლაშა გვასალიას პოეტური სტრიქონებით დავასრულო „ირფელიში ოწოხოლე გურს ყოროფა დაგურეს“, ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს, სიყვარულით სავსე გულით ვიშრომოთ ამ მშვენიერ მიწაზე.

თქვენი
მერი აბრამია,
ხობის საპატიო მოქალაქე. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

სიკეთე და სიხარული დაგებედოთ!

ყოველი ახლად გათენებული დილა გვაახლოვებს ახალ წელთან. ყველა ოჯახში დიდი მზადებაა, განსაკუთრებით, იქ, სადაც პატარები არიან, გამორჩეული მხიარულება და ფუსფუსია. თითოეული ადამიანი ახალი წლის მაჯისცემას გრძნობს და მისგან უამრავ სიახლეს, სიხარულს, წარმატებებს, ახალ-ახალ იმედებს ელის.

მინდა ჩვენს პატარა აღსაზრდელებს ვუსურვო უამრავი ნატვრის ასრულება. სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. სიკეთე, სიხარული და სიმშვიდე სუფევდეს მუდამ ჩვენს სამშობლოში.

ელისო კვიკვინია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი

მრავალ ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო...

იცის, როგორ „გაგიჩვენოს“ მერი ლაგვილავამ, შემოგახვევს სიტყვათა მისნობას და მოგწყვეტს ყველა საქმისგან, მისგან დავალებული წერილის სასარგებლოდ.

თავსაწყისად რედაქტორია, არაფერი შეეშლება არც ურთიერთობაში და არც საქმეში, იშვიათობაა დღეს ასეთი მიდგომა ავტორებთან, როცა რედაქტორის სიტყვა, სანამ პირობა შეგისრულებია, კონსტიტუციურ „ვალდებულებად“ რომ გაწევს მხრებზე. „ქართულ ხმასთან“ ხელშეკრულება დადებულს, ყველა მისი საახალწლო ტექსტის შექმნა-რედაქტირებასთან დაკავშირებით, როგორი უდროობაც მექნება, ადვილად წარმოსადგენია, მაგრამ მერიკოს არ ეღალატების, მისი სიტყვა ღმერთძალიანია ჩემთვის, ჰოდა, სიყვარულითა და სიკეთით მოპირთავებული დამდეგ შობა-ახალწელს გილოცავთ, ჩემო უძვირფასესო ქართველებო, ჩემო გულკაკაბა კოლხებო და გამორჩეულად საყვარელო ხობელებო.

ნატვრა და სურვილები საჭირო რომ არ იყოს, სამოთხეში ვიქნებოდით და რადგანაც ვერ ვართ მკვიდრნი საოცრებისა ესე, შესაბამისად გადავდივარ ლოცვაზე და მთელი არსებით გისურვებთ ყოველივე კარგსა და ამაღლებულს, ანგელოზურად უანგაროსა და წმინდას. ეს წელი ყოფილიყოს სურვილების ასრულებისა და ბედნიერების ამწვერვალების წელი.

ღორის წელიწადი მეხამუშება რატომღაც და ტახისა ვთქვათ, ტახი სხვა რამეა, სხვა სიმბოლური დატვირთვითა და სიძლიერით. ის ხომ ოდიშური სამთავროს დროშა-გერბზე იყო გამოსახული და სიმედგრისა და უღალატობის, თავგანწირვისა და უდრეკობის სიმბოლოდ იძალებოდა მტრებსა თუ მოყვრებსა შინა...

დრო მამაზეციერის სუნთქვა მგონია და მისი გაჩერებისგან უფალმა დაგვიფაროს, ამიტომაც მის ფეთქვასა და კრთომებს თვალმიდევნებულს ერთი რამ გვევალება-ნაბიჯებიც შევუსაბამოთ მის აღმატებულება ჟამს და ყველაფერი გავაკეთოთ მის ტოლად და გვერდიგვერდ სასიარულოდ!..

ვემშვიდობებით ძაღლის წელიწადს და ვაცილებთ მასთან ერთად ყველა იმ ტკივილმოსაგონარ ფიქრებს, რომელთა გარეშეც ნამდვილად საბედნიეროდ მომზევებული იქნებოდა 2018, მაგრამ განგების ჯერჩინება დღესააქამომდე ვერვის აუხსნია, ვერც გაქცევია ძეხორციელი მის სუსხიან საწიერს და მივყვეთ უნდა ჩვენც ნიშა ხარებივით მის ნაკვალევს...

ძაღლისა და ტახის მეგობრობა ვინა თქვას, მაგრამ წარმოსახვით სივრციეთში ყველაფერია დასაშვები... იქ ვარდისფერია თვალმახარა გამა უკიდეგანო სამზერისისა და ყოველივე ადამიანურს მისი ზებუნებრივი სითბო და სისადავე დაჰყვება ამაღლებად განწყობისა... ამიტომაც, გავათამამოთ ბროლია და „ფეხკეთილ“ მეკუჩხურთან ერთად შემოვიპატიჟოთ შინ, იქნებ გასათხოვარ, ასაკდავარგებულ გოგო–ბიჭებს ეშველოთ რამე, ხომ იცით, ნათქვამია, „ბედი ელანზეაო...“ და მივუჩხიკინოთ ჩვენც...

ჩიჩილაკი გავაბევროთ, მითაჟამური ძირდუღაბიდან ეგღა შემოგვრჩენია ჩვენი უბრწყინვალესი წარსულის დასტურ–სიმბოლოდ. ოქრომრავალი კოლხეთის გასაოცარი ჟამის ნიშან-სვეტად. აკი, მსოფლიოს უპირველესი მხატვრული ნაწარმოების შუმერული „გილგამეშიანის“ თანამედროვენი ვართ, ჩვ. წ. აღრიცხვამდე მე-17 -13 საუკუნეებში როცა ძველი კოლხეთი აყვავებას აღწევს, როცა კოლხი მედეა მედიცინის სიმბოლოა მთელი ახლო სივრციეთისთვის. სწორედ აქ ეყრება საფუძველი პლანეტარული ლიტერატურის ორ მთავარ სიუჟეტს-ოქროს მაძიებლობასა და უკვდავების ძიებას.

არგონავტები-ოქროსა და სიმდიდრის მაძიებელნი, ღმერთებისგან დამარცხებული, მეგობარ, ანუ ენქიდუ დაღუპული გილგამეში-უკვდავებისკენ მლტოლველი. მას მერე, როგორც სრულიად კაცობრიობა, ჩვენც, ქართველები ამ ორ ოცნებით საწყისებს ვართ მიტყვევებულნი და ვიბრძვით, ვწვალობთ, ვიტანჯებით...

აგერ მე-20 საუკუნეში გოგლა ლეონიძემ „ნატვრის ხეში“ დაგვიხატა გილგამეშის „დაჩიავებული“ სახე- ელიოზი, რომელიც ხან უკვდავების წყალს დაეძებს, ხანაც უკვდავების თვალს...

ბედნიერების მაძებარი გაშარჟებული მეგრელი პერსონაჟი, კი იმედით აღვსილი მიულექსებს ახალი წლის ღამეს კარზე „ღვთაებრივად“ დამკაკუნებელ, ყოვლისშემძლე მეკუჩხურს: **ვინც არ უნდა იყო მანდ, მაძღარი თუ მაშვრალი, მდიდარი თუ ღარიბი... სიხარულით გიღებ კარს, შენი ბედი დამებედოს...**-მოკლედ, ნატვრასა და ოცნების აღსრულებაზეა მიკეთილებული ძე-ხორციელის აზრიცა და გუნებაც, მისი აწმყოცა და მომავალიც, ამიტომაა ის დალოცვილი ახალი წელიც მობრძანდება და შემოგვღიღინებს: **შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო...** ჰოდა, ანგელოზი ყოფილიყოს მოფეხბედნიერე ჩვენი ოჯახებისა, ავი გვაშოროს და კეთილი გვიმრავლოს ზეციერმა...

ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია მატერიალური, მიწიერი ბორკილების მსხვრევის გამოხატულებაა. ხოლო 32-ე სონეტი მატერიალური ხუნდებით შებორკილ-„დაჯაჭვული“ პრომეთეს ბორგვა და ზანზარი. ჰენდელის უგენიალურესი „ალილუიას“ შემდგომ ამ ორ კომპოზიციას უკრავენ ხოლმე და ამას ესთეტები–„მარადიულ საახალწლო გაფრთხილებად“ ასაბუთებენ... „რადგან ადამიანთა დიდება უფრო უყვარდათ, ვიდრე ღვთის დიდება“ (იოანე 12-13: 43). ასეა, ამ კანონზომიერებას ვერავინ გადავა.

ჩვენ კი ვიცხოვროთ და ვიღვაწოთ კეთილად, გვახსოვდეს საკეთებელი ჩვენი. სიკეთე ხომ ჩვენი ეროვნული ენერგიის უმთავრესი გამოხატულებაა. ჩვენი სამარადისო სამშვენისი და ტვირთი კი სიყვარულია. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ნურც პოლიტიკური დაპირისპირება დაგვაბრმავებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველას (მოღალატე- რენეგატების გამოკლებით) სურს ბედნიერი საქართველო, მაგრამ განსხვავებულია მიზნის მიღწევის საშუალება და სტრატეგიები, ამის გამო კი არავინ უნდა დაიჩაგროს, არავინ გაიქილიკოს...

უი, ოჩოპინტრე გამახსენდა, ღორზე ამხედრებული ნადირთა მბრძანებელი, რომელიც ახალი წლის შემოსვლამდე ასე მიმართავს ტყის ბინადართ: **„გაიტრუნეთ, იყუჩეთ, დადუმდით, ანგელოზები მოფრინდებიან, ე, მანდ თქვენი ღრიანცელით ფარფატები არ დამიფრთხოთ. სტუმარს დახვედრა უნდა, გულღია და ჩუმი დახვედრა. შენ ხომ ვერავინ გაგაჩერებს დრუნჩა–ღუტუნიავ, კარგი, გარგი, შენ იღრუტუნე, ვიღაცამ ხომ უნდა დაარღვიოს სიჩუმე ტყისა!“**. კი, ბატონო, იღრუტუნონ ოჩოპიტრესეულად ღრუტუნიებმა, ჩვენ კი შევევედროთ საცისკროს ჩვენსას:

ღმერთო მაღალო, ღვთისმშობელო მარიამ. თქვენ დაიფარეთ ჩვენი სამშობლო, მშობლიური ხალხი და ანგელოზურად მოუფრთონეთ ყოველივე ღვთიური და ამაღლებული!..

მრავალ შობა-ახალწელიწადს ჯანმრთელად და გახარებულად!

მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!..

სიყვარულით
ლაშა გვასალია
მწერალი.

მოლოცვა

მომავლის გზის ერთ-ერთი მანათობელი

საბედნიეროდ, გვყავს ადამიანები, ვინც თავისი ცხოვრებით სხვათა ცხოვრებას ალამაზებენ, სხვათა მომავლის გზის მანათობლად გვევლინებიან და მათთან ურთიერთობა ბედნიერების მონიჭებასთან ერთად დიდი სიამოვნება და საამაყოა.

ერთ-ერთი მათგანია ბატონი ალექსანდრე (საშა) არჩაია, რომელიც იმის ნათელი მაგალითია, როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, ოჯახი, სკოლა (სადაც ნახევარი საუკუნეზე მეტი იღვაწე), როგორ უნდა უწინამძღვრო არამარტო მომავალ თაობას, არამედ კოლეგებს (მით უფრო, როცა უმეტესობა შენი ნამოწაფარია).

საშა არჩაია–ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი (30 წელიწადი სკოლის უცვლელი დირექტორი იყო), მათემატიკოსი, ორი წიგნის ავტორი, წარჩინებული მასწავლებლის სამკერდე ნიშნის მფლობელი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, ხობის საპატიო მოქალაქე, დიდი ოჯახის მამა და ბაბუაა.

ჩვენი გაზეთის დიდი გულშემატკივარი რედაქციის ხშირი სტუმარია, მათემატიკაზე ვერა, მაგრამ ცხოვრებისეულ ყოველდღიურობაზე გვესაუბრება და მისი სტუმრობით დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

დეკემბერი მისთვის განსაკუთრებული თვეა. ამასწინათ საახალწლო სურვილებით და დაბადების დღის მოლოცვით დავხვდით. ვისურვეთ და ვუსურვეთ რომ დიდხანს იცოცხლოს ჯანმრთელად, გაიხაროს და დატკბეს მისი სასახელო, პატიოსნებით გასხოვოსნებული შვილებითა და შვილიშვილებით. ჩვენ კი უფალმა დიდხანს არ მოგვაკლოს მისი გულის სითბო.

კიდევ ერთხელ ვესიყვარულებით და ვბეჭდავთ რედაქციაში ჯერ კიდევ შარშან გამოგზავნილ მისთვის მიძღვნილ ბადრი ლომაიას ლექსს.

მერი ლაგვილავა.

არ გავჩერდები!

„საქართველოს სიყვარულში ვერ მაჯობა ვერავინ“

არ გავჩერდები არასდროს,
ვიდრე არ მიხმობს უფალი,
ჩემი ცხოვრების მარათონს
ვერ გაწვდეს ბედი მუხთალი.
ვერ მომწვდეს ბედი მდევარი,
როცა ვიქნები ღმერთებთან,
ჩემი დიდგორი ეგ არი,
წილნაყარი ვარ ცოტნესთან!
დიდგორის ველზე გავსულვარ,
დიდ ჭყონდიდელის ჯიშისა,
მე ქედს მოვუხრი წარსულსა
არ დარიდება შიშისა.
დიდგორის ველზე ჩამესმის
ყიჟინა ლომგულებისა,
როგორც უკვდავი ის ლექსი
ლექსი მოყმის და ვეფხისა.
იმ წარსულიდან მოვდივარ,
გოლიათთ ნაფეხურებით
მე თავს არასდროს ვიფასებ
ამ ჩემი დამსახურებით.
ბევრის ვყოფილვარ გამზრდელი
არასდროს არ მინანია,
ბევრი მივლია გზა ძნელი
სად ჩემი გამიტანია.
მოხედვის აღარ მრცხვენია,
უფლის შიშით და კვალდაკვალ,
და ახლა ის დამრჩენია,
სამშობლოს ვედგე მხარდამხარ.
ჭყონდიდელობა მწყურია,
დიდგორის ველზე გაჭრილი,
მუდამ ვებრძოდი შურიანს
მაგრამ მშურს ყოლხი არწივის!
მინდა გავზარდო მოყმენი
ვეფხვებთან მეომარია,
თუ ძალას მომცემს გამჩენი
დედა ღვთისმშობლის მარიამ!
მე რიგითი ვარ მებრძოლი
სამშობლოს სადარაჯოზე
და მე მოვიგე ის ომი,
დღესაც ვერავინ მაჯობებს.
არასდროს არ გავჩერდები და
ასე ვივლი ქარდაქარ,
დიდგორის ველზე შევდგები
წმინდა გიორგის მხარდამხარ!

ბადრი ლომაია
17-XII-2016 წელი

მრავალ ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

დიკა, გვიამბეთ თქვენზე?

–პროფესიით ჟურნალისტი ვარ, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR)სპეციალისტი და სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი..

36 წლის, მყავს მეუღლე და ორი შვილი, წარმოშობით სამეგრელოდან, ამჟამად თბილისში ვცხოვრობ...

გარდა პროფესიული საქმიანობისა ჩემი მკითხველი სოციალური მედიის საშუალებით მიცნობს როგორც ავტორს, თუმცა ქვეყანაში სადაც თანამედროვე ლიტერატურას ჰყავს პოეზიის ხევისბერი-ტარიელ ხარხელაური, პოეტს საკუთარ თავს როგორ ვუწოდებ, უბრალოდ ვწერ... პირველი ჩემი ლექსი, რომელიც სოციალური ქსელით გავრცელდა და პოპულარული გახდა იყო „არ დამეღალო დედი“. ალბათ გახსოვთ კიდეც, სწორედ ეს ლექსი იყო რომელიც სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერში“ წაიკითხა ერთ-ერთმა მონაწილემ და საკმაო წარმატება მოუტანა მას..

ამ ლექსს მოჰყვა სხვა ლექსები და დღეს ჩემს ირგვლივ ძალიან ბევრი მკითხველია.ხშირად მიგზავნიან ვიდეოჩანაწერებს, სადაც შვილები დედებს უკითხავენ ლექსებს, აწყობენ საღამოებს და მიხარია ცხოვრების გიჟური ტემპისა და გადატვირთული ყოველდღიურობის მიუხედავად, უამრავი ადამიანისთვის სულისმოთქმის საუკეთესო საშუალება პოეზიაა...

შეიძლება ითქვას რომ კითხვა და თანამედროვე ლიტერატურა მოდური ტრენდი გახდა..

ნამდვილად, ბევრი აპრილია თქვენს ირგვლივ და მე ეს ძალიან მომწონს, პირადად ჩემთვის აპრილი სილამაზესთან, სიყვარულთან და რაღაც ახლის, ძალიან კარგის დაწყებასთან ასოცირდება...და თქვენი აზრით რომ შეგვეძლოს სიყვარულს ფერი მივანიჭოთ, რა ფერი იქნებოდა ის?

–თითოეულ ჩვენგანს საკუთარი სიყვარული და სიყვარულის ისტორია გვაქვს... გამოდინარე აქედან სიყვარული შეიძლება ზოგიერთის წარმოსახვაში ღია ტონებში იყოს გადაწყვეტილი და ზოგისთვის კი პირიქით...

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა და ძალიან მიმწონს კანადელი მეცნიერის, ჯონ ალანის ჰიპოტეზა სიყვარულის ფერებზე, რომლის ვარაუდითაც ისევე როგორც ფერთა გამაზე არსებობს სამი ძირითადი ფერი და დანარჩენი ფერები მათი კომბინაციის შედეგად არის მიღებული, სიყვარულშიც ზუსტად ასეა, გვაქვს სიყვარულის გამომხატველი სამი ძირითადი სახე: ეროსი, ლუდუსი და სტორგი დანარჩენი გრძნობები მანია, პრგამა და აღაპი კომბინაციის შედეგია..

ალანის თეორემაში ყველა

დიდი ხანია თვალს ვადევნებ ამ მშვენიერი ქალბატონის პოეზიას, ხშირად მის ლექსებში საკუთარი თავიც მიპოვნია... სურვილი გამიჩნდა, გამეცნო და მესაუბრა მასთან მისი ლექსების შესახებ...

გრძნობას საკუთარი ფერი და მნიშვნელობა აქვს. მე ჰიპოტეზიდან ყველაზე მეტად სიყვარულის ნარინჯისფერი მომწონს, იგი არის გრძნობის ფერი, რომელსაც „აღაპი“ ეწოდება და ბერძნულად სულიერებას ნიშნავს... სიყვარულს რომელსაც წარმოსახვაში ნარინჯისფერი აქვს, შეუძლია თავდაუზოგავი სიყვარული, მისი საფუძველი მოთმინება, სიკეთე და ერთგულებაა...

აი, ჩემს სიყვარულს კი იასამნისფერი აქვს... ალბათ იმიტომაც, რომ აპრილი და გლიცინიები მიყვარს... ისე იმავე თეორემის მიხედვით, ვინც თავის სიყვარულს იასამნისფერში ხედავს, მისი სიყვარული არის ემოციების ნამდვილი „ამერიკული მთების ატრაქციონი“ და კოკისპირული წვიმა, რაც ზუსტად ასეა...

დიკა, თქვენ გაქვთ თქვენი სავტორო გადაცემა “ნაწვიმარი ალუბლები” ...

„ნაწვიმარი ალუბლები“-ს იდეა დიდი ხნის წინ გაჩნდა, მაშინ როცა ელექტრონულმა მედიამ და ტექნოლოგიების განვითარებამ ფართო შესაძლებლობები მოიტანა. ეს იყო ერთ-ერთი ლიტერატურული გვერდი სოციალურ ქსელში რომელსაც საკმაოდ დიდი მკითხველი ჰყავდა.. შემდეგ „ნაწვიმარმა ალუბლებმა“ სატელევიზიო ფორმატის სახე მიიღო და ყოველკვირეული ლიტერატურული გადაცემის ციკლი გაკეთდა, რომელიც თითქმის ყველა თანამედროვე ავტორს მიეძღვნა... ეს იყო გადაცემა, სადაც ავტორები წარდგენილნი იყვნენ თავიანთი ისტორიებით, მოგონებებით, სევდით, სათქმელით და უთქმელით, სადაც მთავარი მხოლოდ ლიტერატურა და შემოქმედი იყო, მისი სახასიათო შტრიხებით... ეხლა კი ვთვლი რომ ამ გადაცემამ საკუთარი სათქმელი თქვა და რესურსი ამოწურა „მალე ახალი, კიდევ უფრო საინტერესო პროექტი ელოდება პოეზიის მოყვარულებს...

ცოტა ბანალური კითხვაა, მაგრამ მაინც გკითხავთ, ყველაზე მეტად რომელი ლექსი გიყვართ?

–თითქმის ყველა ლექსი გულიდან წამოსული სათქმელია, ისინი ისეთები არიან რისი თქმაც იმ წუთას მინდოდა (ყოველგვარი კორექტირების გარეშე)რისი უთქმელობაც ცუდად გამხდიდა...

ლექსები ერთგვარი თერაპიაა, დასვენება და შვება...

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა მკითხველმა მომწერა:

„სანამ თქვენი ლექსების წაკითხვა შემეძლება დეპრესია არ დამემართებაო“

ჩემი აკვიატებული ტერმინიც **ყჩაისუნთქებედნიერება** ერთ-ერთი მკითხველისგან წამოვიდა..

ასეა, ყოველდღე ჩვენ ვსუნთქავთ ბედნიერებას...

ყოველდღე ვაგროვებთ წვრილმანებს პოზიტივისთვის...

ყოველდღე ვალაგებთ ჩვენი ცხოვრების თაროზე ისტორიებს...

ყოველდღე ვხედავთ, რომ მზე ასრულებს ღამეს...

მაგრამ ხანდახან ყველაფერი ჩვენი სურვილების შესაბამისად არ ხდება, ზოგჯერ მზეს ვკარგავთ და იწყება სულში წვიმების სეზონი...

წვიმა კი ყველაზე ტკივილიანი და უსაშველოა, მით უფრო, როცა გრძნობ, რომ ყველაფერი იდარებს მის გარდა...

„წვიმებს რა ვუყო სულში რომ იცის, თორემ ამინდი გამოიდარებს”

მერე ვიკრებთ ძალებს და ვცდილობთ საკუთარი თავი თვითონვე წამოვაყენოთ....

ზოგჯერ ამ წვიმით სიარულს ვსწავლობთ ან უბრალოდ ვეჩვევით...

მეც ასე ვარ, სულის წვიმების პრევენციას ვახდენ თითქოს აპრილით და ჩემს ყველა ლექსში სევდასთან ერთად ამიტომაც არის ღიმილი და იასამნისფერი გლიცინიები...

რაც შეეხება ლექსებს, გამიჭირდება რომელიმე გამოვარჩიო... თუმცა არის ლექსები რომლებიც მე თვითონაც მაქვს ამოჩემებული და ესენია: „ხშირად გაიღიმეთ დარდები დამალეთ“, „რომ შემეძლოს ვიცხოვრებდი სოფელში“, „შენი მაჯებიდან დაწყებული“ და ლექსები „ბებოზე“...

ქალი ძლიერი უნდა იყოს?

–უალტერნატივოდ (ღიმილის სმაილიკი)ასეც არის!

მგონია, რომ ქალი მამაკაცზე ძლიერია თავისი ფსიქიკით, ემოციებით, შესაძლებლობებით, ნებისყოფით და თუნდაც ტკივილის გაძლების უნარით. ყველამ ვიცით რომ ადამიანის ორგანიზმს შეუძლია გაუძლოს 45 დელ ტკივილს, მაგრამ ქალი შვილის გაჩენისას უძლებს 57-ს და ასე ხდება სიცოცხლის საწყისი....

მართალია, ყველა ქალს მოსწონს როცა მასზე ზრუნავენ, აღმერთებენ და ხელისგულზე ატარებენ მაგრამ, ქართველი ქალების უმრავლესობას ყოფითი პრობლემებიდან თუ სოციალური ასპექტებიდან გამომდინარე ამაში არ გაუმართლა და სანაცვლოდ როცა დასჭირდა შეძლო გაცილებით მეტი ძალების მობილიზება საკუთარ თავში, ვიდრე ეს მამაკაცმა...

სწორედ ქალების სიძლიერის შედეგია რომ, დედებმა გაუგონარი სიმძიმის ჯვარი დაიდეს მხრებზე და თითქმის ყოველდღიურად „ომობენ“ რეალობასთან...

რამდენი ათასი ემიგრანტი ქალი არჩენს ოჯახში დარჩენილ შვილებსა და ქმარს...რამდენი ათასი ქალი ყოველდღიურად უარს ამბობს საკუთარ სურვილებზე კერისა და ჭერის კეთილდღეობის სანაცვლოდ... რამდენი ქალი საკუთარ ტკივილს ითმენს და ამბობს, რომ არ სტკივა სხვების ღიმილის სანაცვლოდ...

განა ეს არ არის სიძლიერე?

მართალია ზოგადად მიიჩნევა, რომ ქალი სუსტი არსება და ქართველი ქალის შესაფასებლად ხშირად იყენებენ ეპითეტებს: კლდემამოსილი, მორჩილი, მშვიდი, დამყოლი, ნაზი და ა.შ...

მაგრამ სწორედ ამ კლდემამოსილი ქალების „ვაჟკაცობამ“ გადარჩინა ქვეყანა და შიმშილისთვის განწირული უამრავი ოჯახი ჩვენს უახლოეს წარსულში...

ისტორიულადაც ხომ ასეა, საქართველო პატრიარქალური კულტურის ქვეყანა და ერთ-ერთია მსოფლიოს იმ ქვეყანათა შორის, რომელშიც ე.წ დედის კულტია დომინატი...

მადლობა თითოეულ ქალს, რომელმაც საკუთარ თავში იპოვა ძალა და იცის თუ დასჭირდა სრულიად მარტომ როგორ აიაროს ყველაზე დიდი აღმართი!

ამბობენ თუ ქალი ლექსებს წერს მასში ორი ქალი ცხოვრობსო, დედა და პოეტიო... თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

–ზოგადად პოეტი ქალი, ალბათ, პუბლიკის წარმოსახვაში ძალიან ნაზი, სუსტი და ღრუბლებში მოფარფატე არსებაა...

არ ვიცი სხვა პოეტი ქალები როგორები არიან მაგრამ, მე იშვიათად „დავფრინავ“..

დედაც და ქალიც ზუსტად ერთნაირი ვარ....თუმცა თუ პროცენტულად შევხედავ საკუთარ შინაგან მდგომარეობას, უფრო დიდი დოზით ვარ დედა...

ისე კი იცით როგორი ვარ?

–აი, ისეთი, თანამედროვე მაასურზე რომ ძველისძველი ბროშის დაბნევა მინდება ხოლმე და ვიბნევ...

ხმაურიან „ივენთებზე“ მიწვეული, რამოდენიმე დღით ადრე რომ საგულდაგულოდ შევარჩევ კაბას და მერე უეცრად ჩემთვის, ჩუმად სამზარეულოში ყავის სმა მოინდება და... (უბრალოდ არ მივდივარ)

აი ისეთი, ბავშვების პატარა სეიფში ფულს რომ ვაგროვებ ზაფხულისთვის, მერე დეკემბერში ვხსნი და და თავშესაფარში მივდივარ...

ძირითადად დამთმობი და მიმტევებელი...

როცა ვტირი, რომ უნდა ჩამეხუტონ ისეთი...

მაგრამ ვერ ვიტან როცა ფეხს გაბიჯებენ, გთელავენ, გტკენენ..ჰო, მაშინ ვარ აი ისეთი, არაფრის და არავისი, რომ არ მეშინია და არ ვურჩევ ბევრს მიცნობდეს ასეთს...(იშვიათად ვარ)

ისე კი ხშირად მეზარება, რომ გავბრაზდე და არც ვბრაზობ ხოლმე... (თორემ სიბრაზისთვის მიზეზებს რა გამოლევს)

არ მხიბლავს ულტრა და მეტალის თანამედროვეობა, მთა და ბუხარი ქრონიკულად რომ შემეყარა აი ისეთი ვარ...

ალბათ, არც ისე ადვილი ვარ....

რაც მთავარია, ზარმაცი არ ვარ, არასოდეს მეზარება გამოწვევებს ვუპასუხო და ახალი სირთულეები გამოვიგონო...

ხშირად მგონია რომ სოციალურ პასუხისმგებლობა გამძაფრებულად შემეყარა და სხვების დარდი, ტკივილი, სიცივე მომეტებულად მცივა...

ვიცი, რომ ბევრი აღმოაჩენთ საკუთარ თავს...

ვიცი, რომ თქვენც ჩემსავით ძვირადღირებული ქურქის მოხვევას უბრალო პლედი და ბუხარი გირჩევნიათ....

ჰო, ჩვენი ბედნიერება ჩვენ უნდა შევქმნათ...

ჩვენი წვრილმანებით, ხასიათებით, ეპიზოდებით...

წიგნის ფურცლებში ბავშვობის დროს ჩადებულ ერთ ყლორტ ენძელას რომ წლების შემდეგ წააწყდები, ეგეც ხომ სიხარულია?

რამდენი რამეა სიხარული....

ამიტომაც მე ყოველ დღე ვსუნთქავ ბედნიერებას...

p.s ასე დასრულდა ჩვენი საუბარი და მე დადებითი ემოციებით ვარ სავსე... ვფიქრობ ეს დადებითი ემოცია კიდევ კარგახანს გამყვება...

წერის დროს იქნებ ავურიე კიდეც რამე, მე მაპატიეთ... ყველაზე ძალიან მაბედნიერებს წერა იმაზე, რაც გულთან ძალიან ახლოს არის...

„მე ჩავისუნთქე ბედნიერება

და ამისთვის ძალიან დიდი მადლობა დიკა სალაყაიას...

ესეც ჩემი ფავორიტი ლექსი

„მოდი, თითქოს ბავშვები ვართ, გამიტაცე,
მერე სადმე გადამხიზნე მთებში,
სიყვარული სულ თავიდან ამიხსენი,
არ გამიშვა, არ გამიშვა სახლში..
ყვავილები დამიწენი გვირგვინებად,
სამკაულად კესანები მართვი,
საღამოყამს ბუხარს ცეცხლი შეუკეთე,
ცხელი ჩაი მოვიმზადოთ მაყვლით....
მერე დილით განთიადზე გამაღვიძე,
ნაწვიმარზე მასეირნე ბაღში,
ხელის გულზე შენი ხელი დამაფარე
ისე, თითქოს შემეშინდა რამის...
მოდი, თითქოს ბავშვები ვართ გამიტაცე,
მერე სადმე გადამხიზნე მთებში,
სიყვარული სულ თავიდან ამიხსენი,
არ გამიშვა არ გამიშვა სახლში...“

დიკა სალაყაია

და ბოლოს თავად დიკა სალაყაიას ლექსით დაგემშვიდობებით

„იცი რა მინდა?
ღრმა სიბერემდე მე და შენ დღეებს ერთად ვითვლიდეთ,
მე მქონდეს ბაღი მინდვრის ყვავილის
და შენ ყოველდღე გვირგვინს მიწნიდე“

გისურვებთ ყველას ასეთ ლამაზ ცხოვრებას...ძალიან, ძალიან ღრმა სიბერემდე გყოლოდეთ გვერდით და გულთან ახლოს საყვარელი ადამიანი...

შორენა გოგიბერიძე,
„ინტერმედია“ საინფორმაციო ინტერნეტპორტალი.

დიკა სალაყაია:
„წვიმებს რა ვუყო სულში რომ იცის, თორემ ამინდი გამოიდარებს“

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

ხობის მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა 16 დღიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო 25 ნოემბერს–ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღეს. კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერება.

ღონისძიებას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს ხობის რაიონული სამმართველოს უფროსი **დავით პაპავა,** ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები და განათლების და განვითარების ცენტრის–„თოლისკური-ს“ ხელმძღვანელი **გვანცა კიკალეიშვილი** ესწრებოდნენ.



დავით პაპავამ ისაუბრა ხობის მუნიციპალიტეტში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკაზე და მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც განახორციელებს ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა

კამპანიის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გენდერული თანასწორობის საკითხებში თამუნა სიჭინავამ ნოჯიხევისა და შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობასთან გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე გამართა შეხვედრა, რომელიც დიალოგის რეჟიმში წარიმართა, შედგა საუბარი ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სერვისებზე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებზე, ძალადობის ფენომენზე და მის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიაზე.

შეხვედრაზე, ოჯახში ძალადობის თემაზე შექმნილი ვიდეორგოლის ჩვენება გაიმართა; ხოლო მონაწილეებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაბეჭდილი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები „სახელმწიფო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ” დაურიგდათ.

მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებასა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს. ასევე აღნიშნა, რომ ახალი რეგულაციებით, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის ყველა შემთხვევაში და პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისთვის აღარაა საჭირო მისი სასამართლოში წარდგენა.

16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 10 დეკემბერს ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღეს დასრულდა.

ნათია სიგუა პროფესიით ექიმია. უკვე ათი წელია, რაც საიუველირო ნაკეთობებზე მუშაობა მის ყოველდღიურ საქმიანობად იქცა. შემოქმედებითი მიდგომა და საქმის სიყვარული ულამაზებს ცხოვრებას. იყენებს როგორც ნახევრად ძვირფას ქვებს, ისე ტყავისა და ბეწვის მასალებს. მისი ნაკეთობების კოლექცია მრავალფეროვანია და სხვადასხვა გემოვნების ქალბატონებზე მორგებული.

ხელნაკეთი სამკაულები და მათი ისტორია

ნათია, პროფესიით ექიმი ბრძანდებით...

–დიახ პროფესიით ექიმი ვარ. ვმუშაობ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. მეორე შვილის შეძენის შემდეგ დავიწყე სკოლაში მუშაობა, რომ შვილებთანაც ახლოს ვყოფილვიყავი და სხვა ბავშვებისთვისაც გამეწია დახმარება. რეზიდენტურაც დავამთავრე და გარკვეული პროფესიული გამოცდილებაც მქონდა, მაგრამ სკოლას შემოვრჩი.

როდის გაგიტაცათ სამკაულებზე მუშაობამ. ჩანს, რომ ამ საქმეს შემოქმედებითად უდგებით...

–ჩემთვის თავს ვირთობდი. დავიწყე ჩემი გოგონასთვის ლამაზი ქუდების ქსოვით. ქუდებს თვლებით ვაფორმებდი ხოლმე. შემდეგ გადავერთე სამკაულებზე. ხშირად მეგობრებისთვისაც ვაკეთებდი სამკაულებს–ყელსაბამებს, საყურეებს და სამაჯურებს... მას შემდეგ ათი წელი გავიდა.

რამდენადაც ვიცი, თვითნასწავლი ხართ...

–დიახ. არსად შემისწავლია სამკაულზე მუშაობა. ყველაფერში თავად გავერკვიე, ხელსაქმეშიც... ადრეულ ასაკში თვლების ამოყვანა თუ მასწავლეს.

გამოფენებშიც მონაწილეობთ?

–როცა სახალხო ზეიმი იმართება, ყოველთვის ვცდილობ ჩემი ნამუშევრების გატანას. მონაწილეობა მივიღე თბილისობის და სვეტიცხოვლობის გამოფენებზე. დამთვალიერებლებთან თუ დამკვეთებთან შეხვედრები ყოველთვის ინსპირაციის წყაროა. ასე უკეთ ვხვდები მათ გემოვნებას და ახალ-ახალი იდეებიც ჩნდება. დამკვეთი ცდილობს, რაიმე განსხვავებული ჰქონდეს, რაც გამორჩეული და ეფექტური იქნება.

როგორ შეიქმნა გოგონების კოლექცია?

–გოგონების კოლექცია დიდი მოწონებით სარგებლობს. ხშირად მაქვს დაკვეთა რადგან ჩანთებზე მისამაგრებლადაც და გულსაბნევადაც და ყელსაბნევადაც გამოსადეგია. ცალკე ვიმუშავე გულსაბნევების კოლექციაზე, რომელიც მხოლოდ ქურთუკზე ან მაისურზე მისამაგრებელია. კოლექციის შექმნა სწორედ ამ ბროშებით დავიწყე. მოთხოვნამ განაპირობა ამ თემის განვრცობა. ასე შეიქმნა სხვადასხვა თოჯინა, რომელიც მეც ძალიან მომწონს. ისიც მომწონს, რომ ჩეულებრივი, მაქმანისგან შეკერილი კაბები აცვიათ. მათთვის ქსოვილებს საგანგებოდ ვარჩევ და ყველაფერს ხელით ვასრულებ. სარჩული და გვირისტიც ხელითაა შესრულებული.





კიდევ რა მასალებს იყენებთ?

–ვიყენებ ნახევრად ძვირფას ქვებს, ძირითადად საყურეებისა და სამაგრებისთვის. მხოლოდ, არ მიყვარს ზედმეტად სიმეტრიული ნივთები, სიმეტრიას ხშირად ვარღვევ, თუმცა ამ დარღვევასაც თავისი სიმეტრია აქვს. ვიყენებ ასევე ტყავს, საკმაოდ რთული ტექნოლოგიით ვმუშაობ ტყავზე. თმის სამაგრებს ჯერ ფოთლებად ვჭრი და შემდეგ ფორმას გამოწვით ვაძლევ. აქ უკვე სიზუსტეა დასაცავი. მომწონს ბეწვზე მუშაობაც. ბეწვით გაწყობილი ნაკეთებები ტრენდულია და დიდ მოწონებას იმსახურებს. მომწონს ყველაფერი ნატურალური. არ მიზიდავს ხელოვნური, პლასტმასის მასალები.

ალბათ, ამ ნამუშევრებშიც გაქვთ თქვენი ფავორიტი ნაკეთობები?

–დიახ, ასეთი ნაკეთობები ძალიან ჩემია, სადაც ჩემი ხასიათიც ჩანს და ხელწერაც. ნაკეთობების იდეა მასალის ნახვის შემდეგ ჩნდება. მასალის შეძენის შემდეგ ვხვდები, რა ფორმის მიცემა შემიძლია. შესაბამისად, წინასწარ არაფერს ვგეგმავ.

ახლა რომელ ნაკეთობაზე მუშაობთ?

–ყოველთვის მინდოდა ნემსიყლაპიების გაკეთება. მაგრამ სპეციალური ფორმის ქვებს ვერსად მივაკვლიე. ახლა შევიძინე და რამდენიმე ვერსიაზე უკვე ვიმუშავე. საკმაოდ რთულად შესასრულებელია. ქვები ჯერ დაწებებული მაქვს, ხოლო შემდეგ მიკერებული, რომ მყარი იყოს. კუდზე ქვები სპეციალური, ლითონის მასალით მაქვს აწყობილი, რომ დრეკადი იყოს. თავად ძალიან მომწონს ეს ნაკეთობა.

ესეც ხდება, რომ ნაკეთობა თავად ნაკლებად მომწონს, მაგრამ დამკვეთის ნებას ვემორჩილები. ეს ეხება ფერების შეხამებასაც.

ძირითადად, როგორ ნაკეთობაზეა მოთხოვნა?

–როგორც უკვე მოგეხსენებათ, ტრენდულია ბეწვის და ბუმბულის გამოყენებით შექმნილი სამკაულები. მოსწონთ ასევე ნახევრად ძვირფასი ქვებით აწყობილი სამაჯურები. უცხოელები ძირითადად სამეულებს ყიდულობენ. ერთ სტილში შესრულებულ საყურეებს და ბეჭედს, ან გულსაკიდს და საყურეებს. მძივებზე დაკვეთა ნაკლებად მაქვს. ქართველ და უცხოელ დამკვეთებს ყველაზე მეტად იზიდავთ ის გარემოება, რომ ხელნაკეთი ნივთებია. ადრე ასე არ იყო ეს საქმიანობა დაფასებული, უფრო ფაბრიკული წესით დამზადებულ ნივთებზე იყო მოთხოვნა. ეს დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. ხშირად მამაკაცები საყვარელი ქალბატონებისთვის ყიდულობენ ჩემს ნაკეთობებს.

ჟურნალი „ბომონდი“ ნოემბერი, 2018 წელი.

P.S. ნათია სიგუა– სულნათელი რაულ სიგუას და იზოლდა (ციური) ცხადაიას ქალიშვილია. ამიტომაც დაინტერესდა ჩვენი გაზეთი მისი საქმიანობით, ვულოცავთ ნათიას დამდეგ შობა-ახალ წელს, წარმატებებს ვუსურვებთ მას ოჯახთან ერთად.

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

ექსკლუზიური ინტერვიუ

პრინციპი: შრომა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა

ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემა იმდენად არის განვითარებული და დახვეწილი, რომ ყველას აქვს საშუალება ნებისმიერ დროს მიიღოს სამედიცინო დახმარება.

გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ხობის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური კაბინეტის წარმატებული ექიმ-სტომატოლოგ, თერაპევტ-ქირურგ და ბავშვთა ქირურგ ლანდა ჯიქიასთან, რომლის პრეზენტაცია ახლახანს შედგა.

ნათქვამია, ადამიანის ერთგვარი სავიზიტო ბარათი ოჯახია, გვიამბე თქვენზე ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია?

–მოხარული ვარ, რომ მაქვს საშუალება თქვენი ათწლეულების ისტორიის მქონე გამოცემის ფურცლებიდან მოგესალმოთ.

დავიბადე ხობის რ-ნ სოფელ ნოჯიხევში. რა თქმა უნდა, ჩემი ძვირფასი ოჯახი ჩემთვის სავიზიტო ბარათზე მეტია. მყავს მშობლები: მამა- ვალერი ჯიქია, დედანანი ქვარცხავა და სულზე უტკბესი დის სოფიო ჯიქიას ოჯახი–ასევე აღმზრდელი მამიდა–მზია ჯიქია, რომელიც წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქ. ხობში მედიცინის დარგს და შემდგომში ჩემი პროფესიის არჩევანზე დიდი გავლენა იქონია. თითოეული მათგანისგან წლების განმავლობაში ვგრძნობდი გვერდით დგომას და იგივე გრძელდება დღესაც, ამათთან ერთად მიხარია განთიადი და ამათთან ერთად მახარებს დაისიც.

თქვენი განვლილი გზა, ხობიდან თბილისამდე, რამ განაპირობა თქვენი დაბრუნება ხობში და რა გეგმები გაქვთ მომავალში?

–ხობში დაბრუნებას რაც შეეხება, თბილისი ძალიან კარგი ქალაქია და ძალიან მიყვარს, მაგრამ ყველა დედაქალაქში დარჩენისკენ არ უნდა ისწრაფვოდეს, ხშირად მეღიმება ხოლმე, როდესაც რაიონიდან დედაქალაქში ჩადიან და მერე უკან გამოხედვაც აღარ უნდათ, მე მინდა ჩემს კუთხეს, ჩემს რაიონს გამოვადგე, მეტი პროფესიონალიზმი შემოვიტანო და ჩემს კოლეგებთან ერთად ვიარო შემოქმედებით აღმართზე. რაც შეეხება გეგმებს, მაქვს დასახული და იმედი მაქვს, რომ ჩანაფიქრი რეალობად იქცევა.

ხართ წარმატებული ექიმ-სტომატოლოგი, ექიმობა თქვენი ოცნება იყო?

–წარმატება ისე არ მოდის, მედიცინა მუდმივად ვითარდება და მეც მივყვები კვალდაკვალ, ეს ჩემგან დიდ შრომას მოითხოვს, ხშირად ვიღებ მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებსა და მასტერკლასებში, სადაც ვიგებ თანამედროვე სტომატოლოგიის მიღწევებს და ვცდილობ, ეს თანამედროვე მეთოდები ჩემს პრაქტიკულ მუშაობაში გამოვიყენო. დიდი შრომის შედეგად მივაღწიე იმ პოზიციას, რომელიც მიჭირავს. დიახ, ექიმობა ჩემი ოცნების პროფესიაა.



ჩვენს ერთგულ მკითხველს აინტერესებს რა მეთოდებით ხდება მკურნალობა ჯიქიას კლინიკაში?

-ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ნებისმიერ კლინიკაში ძალიან მნიშვნელოვანია სტერილიზაცია და სტერილიზაციის ეტაპების ზუსტი დაცვა. სტომატოლოგიურ კლინიკა–DENTAL LAND-ში დანერგილია: სტერილიზაციის უახლესი სტანდარტი, ყველა ინსტრუმენტი გადის მაღალი დონის ქიმიურ დეზინფექციას, შემდეგ იფუთება ერთჯერად პაკეტებში და სტერილდება ავტოკლავით. ავტოკლავირების შემდეგ შესაფუთი ქაღალდი იცვლის ფერს რაც 100%-იანი სტერილიზაციის მარკერია. ასევე დანერგილია კლინიკაში მოხმარებული კრიტიკული ნივთების დახარისხება და სპეციალური სამსახურის მიერ უტილიზება, რაც ხელს უწყობს გარემოს დაცვას. და ბოლოს... ყველა პაციენტს აქვს შესაძლებლობა, დაათვალიეროს სასტერილიზაციო ოთახი და გაეცნოს სტერილიზაციის ეტაპებს, რათა დარწმუნდეს მკურნალობის უსაფრთხოებაში.

მოქალაქეს ეძლევა საშუალება მიიღონ თქვენგან ელემენტარული წესები, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს? რამდენიმე რჩევა?

- რა თქმა უნდა, ეს ჩემი მოვალეობაც არის. მინდა გითხრათ, რომ კონსულტაცია ჩემს კლინიკაში უფასოა, შესაბამისად ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მობრძანდეს, გაიაროს უფასო კონსულტაცია და მიიღოს რჩევები, თუ როგორ უნდა მოუარონ სწორად და დაიცვან პირის ღრუს ჰიგიენური ნორმები. ასევე კლინიკას გააჩნია ფაცებოოკ-გვერდი, სადაც ხშირად ქვეყნდება რჩევები, სიახლეები, სტატიები სტომატოლოგიაზე, ვფიქრობ, აუცილებელია და საჭირო საზოგადოების სწორი ინფორმირება პირის ღრუს მოვლასთან დაკავშირებით. კლინიკის ვებ გვერდის მისამართია: DENTAL L AND.

რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ სილამაზე, ღიმილი და ჯანსაღი ცხოვრების წესი?

–ჯანსაღი კვება უმთავრესია კბილებისთვის, ჩვენ ორიენტირებულნი ვართ რძის პროდუქტებზე, რადგანაც კალცი აუცილებელია ჩვენი კბილებისთვის. აგრეთვე თევზი, ხორცი, ბოსტნეული დიდ როლს ასრულებს ჯანსაღი პირის ღრუს შენარჩუნებაში და ასევე, რეგულარული ვიზიტი ექიმ- სტომატოლოგთან, პირველ რიგში პროფესიული ჰიგიენის პროცედურების ჩატარება, რომელიც უნდა ხდებოდეს 6 თვეში ერთხელ და თუკი რამე პრობლემა აღმოჩნდება-აღმოფხვრა.

ვფიქრობ, კითხვაზე უკეთესი უნარ-ჩვევა არ არსებობს. თვითკრიტიკული ხართ?

–„კმაყოფილება მომაკვდინებელია“, შესაბამისად, არც მე ვარ ყოველთვის ყველაფრით კმაყოფილი.

როგორია ლანდა ჯიქია მთავარი საქმის გარეთ და ხობელებს რას სთავაზობს?

–მთავარი საქმის გარეთ?... პატარა მწყინს და მცირედიც მახარებს. ანუ ბავშვური /იღიმის/ რაც შეეხება შემდგომ კითხვას, მე ძალიან მიყვარს ჩემი კუთხე და რაიონი, მიხარია თითოეული მოქალაქის წარმატება და შესაბამისად ვიზიარებ მათ სიხარულს და წარმატებას.

კომპანია DENTAL LAND- მა დაიწყო აქცია ყველა წარმატებულ სპორტსმენებზე, ვინც გახდება ნებისმიერი სახის ჩემპიონი, გადაეცემა 1 წლიანი უფასო სტომატოლოგიური მომსახურების ვაუჩერი. მოგეხსენებათ, როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის, ასევე განსაკუთრებით სპორტსმენებისთვის მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნება და ეს ჯანმრთელობა იწყება პირის ღრუდან. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის და წარმატებისთვის, რაც თავისთავად გულისხმობს ჩვენი რაიონის წარმატებას. და ეს მე მახარებს და სტიმულს მაძლევს შემდგომი განვითარებისათვის.

თქვენი ძლიერი მხარე?

–არასოდეს ვნებდები!

ცხოვრება სავსეა კატაკლიზმებით, წინასწარ ძნელია ხვალინდელი დღის განჭვრეტა,

–მე ვცხოვრობ დღევანდელი დღით და ვცდილობ მზად ვიყო ნებისმიერი გამოწვევისთვის.

პრინციპი, რომელსაც ვერ უღალატებთ?

–შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, პასუხისმგებლობა.

გჯერათ ბედისწერის?

–მჯერა უფლის და საკუთარი თავის.

რომელი სურვილი ვერ აიხდინეთ?

–მინდოდა ასევე პროფესიით ჟურნალისტიც გავმხდარიყავი, მაგრამ...

ვის გარეშე ვერ წარმოიდგენდით ცხოვრებას ან რას დაივიწყებდით?

–ცხოვრება ვერ წარმომიდგენია ჩემი საქმის და ჩემი ძვირფასი ოჯახის გარეშე. რას დავივიწყებდი?.. ბანკის კრედიტს.

ინტერვიუს დროს შეგამჩნიეთ ოდნავი სევდა...

–სულ მხიარული, სულ დარდიმანდული როგორც არავინ არც მე ვარ და თუ სევდა შენიშნეთ ჩემს სახეზე-ასე მგონია, მიხდება კიდეც, რადგან მელანქოლია ქალის ერთ-ერთი შტრიხია.

რა გაქვთ სკივრში?

–„მზითევი“ (იცინის).

ვის ეტყოდით მადლობას?

–მადლობა თქვენ და გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციას დაინტერესებისთვის, მადლობა ჩემს თითოეულ პაციენტს ნდობისთვის, მადლობა ყველა ხობელს იმ სითბოსთვის, სიყვარულისთვის და ღიმილიანი შეხვედრისთვის, რასაც უცნობ- ნაცნობებისგან ვიღებ. და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს ძვირფას ხობელებს, სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა, სახეზე ღიმილი და რაც მთავარია, მშვიდობა.

ესაუბრა ნაირა ბერაია

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

იუბილე

მოფერებისა და სიყვარულის საღამო

დრო სწრაფად გადის, იქმნება ისტორია, გროვდება გამოცდილება, მოდის თაობათა ცვლა.

ალბათ ოთხათეულ წელზე მეტი დრო გავიდა ხობის ოლიმპიური რეზერვების სკოლა-ინტერნატის დაარსებიდან. ეს იყო რთული და წარმატებული გზა, რომელმაც ჩვენს თვალწინ ჩაიარა.

დღეს სიამაყით შეიძლება ითქვას, ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი ცენტრის სასპორტო სკოლის ესოდენ დიდი წარმატება საერთაშორისო არენაზე, იმ თაობის დამსახურებაა, ვინც წლების განმავლობაში სათავეში ედგა ამ დარგს და ერთ-ერთი მოწინავე იყო ქვეყნის ანალოგიურ სპორტულ დაწესებულებებს შორის.

საიუბილეო საღამო, რომელიც რესტორან „კვარაში“ მოეწყო (საღამოს უძღვებოდა მარინა ჯღარკავა) სწორედ იმ თაობის წარმომადგენელს მიეძღვნა, რომელიც ხობის სპორტის კოჰორტას წარმოადგენდა.

ნიკოლოზ (რობიკო) ჭითავა სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ჩვენი ქალაქის კოლორიტი, ვეტერანი სპორტსმენი, რომელიც 22 წლის განმავლობაში ხელძღვანელობდა აღნიშნულ სასპორტო სკოლას და ქვეყანას პერსპექტიულ თაობებს უზრდიდა. მან თავისი შეგნებული ცხოვრება ერთხელ არჩეულ გზას–სპორტს მიუძღვნა და ღრმა სიბერემდე სასიკეთოდ იღვაწა.

საიუბილეო საღამოზე შეკრებილთა წინაშე გაირბინა ბატონი რობიკოს ცხოვრების ფოტოქრონიკებმა ახალგაზრდობიდან სიჭარმაგემდე. ბევრი ითქვა, მის ნიჭიერებაზე, მიზანდასახულობასა და პროფესიონალიზმზე, საუკეთესო ოჯახის თავკაცობაზე, უბადლო მეგობრობაზე, იუმორზე.

სიმბოლურმა სუფრამ უფლისა და მამულის წინაპართა ხსოვნისა და ქართული სიტვის, მადლის სადღეგრძელოებმა, ტრადიციულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა მეგობრების მოგონებებმა და შეფასებებმა ერთად შეკრებილმა ემოციები შექმნა. დაფასდა და შეფასდა ერთი ღირსეული ადამიანის ღვაწლი, რამაც ბუნებრივად მოიტანა პოზიტიური განწყობა, რწმენა იმისა, რომ თუკი გონების თვალს გავახელთ და მაღალზნეობრივ ადამიანებს დავინახავთ, მათ შრომას დავაფასებთ, მოვეფერებით ვაგრძნობინებთ, რომ მართლაც იმსახურებენ სიყვარულს, აღიარებას ამით ჩვენც პირნათელი ვიქნებით, როგორც წარსულის, ასევე მომავლის წინაშე.

ღვაწლმოსილ პიროვნებას ცხრა ათეული წლის შესრულება მიულოცეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა მეზობლებმა, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ, სპორტის სპეციალისტმა ლევან ლემონჯავამ, რომელმაც სიმბოლურად იუბილარს თასი გადასცა და კიდევ დიდხანს სიცოცხლე უსურვა, ხოლო ქალბატონმა ლალი ლატარიამ საკუთარი ლექსი მიუძღვნა. შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა ბაბუას საიუბილეო ტორტი მიართვეს იცეკვეს, იმღერეს და საერთო ფერხულში ბერმუხაც აიყოლიეს.

ვიდრე საიუბილეო საღამო შედგებოდა, მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ ბ-ნ. რობიკოს იუბილე მიულოცა და მადლიერების ნიშნად წმინდა გიორგის ხატი აჩუქა.

დიდი გრძნობა მუნჯია, სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდა ბატონი რობიკო. იმდენად ბედნიერი და გახარებული იყო მისი მონაგარით, გვერდს კი უმშვენიერესი მეუღლე ქალბატონი ეთერი უმშვენებდა, რომელიც ნახევარსაუკუნეზე მეტია ერთად ჰარმონიულად ცხოვრობენ.

ძნელია მძაფრი ემოციების გარეშე წერა. ქართული ოჯახი სხვა ფენომენია. არ მინდა მეტისმეტი ქათინაური გამომივიდეს, მაგრამ ცხადია, ბატონი რობიკოს ფუძის მემკვიდრემ, შესანიშნავმა პიროვნებამ ბატონმა გიამ მეუღლე მაკა სერგიასთან, დებთან ნანა და დოდო ჭითავებთან, სიძე თამაზ თამაზაშვილთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად სიურპრიზად ეს დღესასწაული მამას მიუძღვნა და თითოეულ მობრძანებულ სტუმარს მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის, მოფერებისთვის, ისინი არაჩვეულებრივი მასპინძლები გახლდათ.

ვისარგებლებ შემთხვევით და ბატონ რობიკოს ოჯახს ვულოცავ ახალი წლის შემობრძანებას. ღმერთმა გვიმრავლოს თქვენნაირი ბედნიერი და საამაყო ოჯახები.

მადლობა, რომ არსებობთ.

ნახვამდის, 100 წლის იუბილემდე!

პატივისცემით
ნაირა ბერაია.

გეფერებით, გილოცავთ!

მას თითქმის ყველა იცნობს ჩვენს მუნიციპალიტეტში. ათეული წლებია მუშაობს ხობის რეფერალურ პოლიკლინიკაში ექიმ თერაპევტად.

ნათელა ჯიჯელავა, ეს მშვენიერი ქალბატონი, მართლაც რომ საქებარია, კარგი ექიმი, კარგი მეგობარი, შესანიშნავი მეუღლე, საუკეთესო დედა, ამასთან ყველა მისაბაძი თვისებების მატარებელი, ყველას პატივისცემასა და მოკრძალებას იმსახურებს. ის მართლაც დევ ერთი სამსახურებრივი სიახლეა. ამასწინათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ბატონმა დავით სერგეენკომ ქალბატონ ნათელას იუბილეპირადად მიულოცა და ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა,

ამაყია თავისი ოჯახით, აწგანსვენებული მეუღლით,–გრიშა კუკავათი, შვილებით, თავისი საქმეებით, ის „ღირსების ორდენის“ კავალერია...

ნათელა ჯიჯელავა, მიუხედავად იმისა, რომ წლებმა დაათოვა–ამასწინათ 80 წელი შეუსრულდა, მაინც ხალხის ჯანმრთელობის სამსახურშია. ყოველთვის მზადაა ავადმყოფს დახმარების ხელი გაუწოდოს და იზრუნოს მასზე. ასე სჩვევიათ ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულ ადამიანებს.

ქალბატონ ნათელას ცხოვრებაში კი-რაც ძალზე საამაყო და სასიამოვნოა მისთვის.

ძველისა და ახალი წლის გზაგასაყარზეა ქვეყანა. ცოტაც და შემოაბიჯებს ახალი, 2019 წელი. დაე, იგი ყველასთვის და მათ შორის თქვენთვის ჯანმრთელობის, ბედნიერ დღეთა სიმრავლის მომტანი ყოფილიყოს.

გაზეთი „ხობის მოამბე“ გილოცავთ დაბადების დღეს, სამსახურებრივ საქმეში წარმატებას და დამდეგ შობა-ახალ წელს.

გეფერებით დიდი პატივისცემით

ნანი კილასონია.

გამორჩეული დღესასწაული

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებს. ჩვენი მიზანია მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტების მომზადება. ამ მხრივ სიახლეა ხობის მუნიციპალიტეტში! სოფელ ნოჯიხევში ავტორიზებულ და ადაპტირებულ უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ, რეაბილიტირებულ შენობაში მიმდინარე წლის დეკემბრის თვიდან მიღებულიქნენ სტუდენტები სხვადასხვა სპეციალობების დასაუფლებლად.

წარმატებები ვუსურვოთ მათ დაოსტატების გზაზე!

პროფესიული განათლება უმოკლესი გზაა დასაქმებისკენ. რომელიც პირდაპირ კავშირშია, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, ასევე მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, რადგან განათლების ეს მიმართულება იძლევა მოქნილი და მოკლევადიანი პროგრამებით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და ხელობების დაუფლების საშუალებას.

შობა-ახალი წელი ყველა ადამიანისთვის განსაკუთრებული და გამორჩეული დღესასწაულია. ახალი სურვილები, ახალი იმედები, მისწრაფებები...

მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსთვის ახალი 2019 წელი.

ფერიდე გოგია.
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“
ნოჯიხევის განყოფილების მენეჯერი

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

აფხაზეთი-ტკივილი ჩვენი

ნაცვლის ახლენა დაგხვედებოდეთ...

ყველა დღესასწაულს სიხარულთან ერთად ახლავს სევდა, სევდა ახლობლების მონატრებისა, მით უფრო, თუ ეს საკუთარი მიწა-წყლის, სახლის, ეზოს, საყვარელი ნივთის მონატრებაა.

არის ტკივილი, დრო რომ ვერ აშუშებს, ტკივილი, რომელმაც შვა გმირები მათი სიმამაცისა და სიცოცხლის სანაცვლოდ... საახალწლო განწყობით მინდოდა ჩემს რესპოდენტებს შევხვედროდი, მაგრამ აფხაზეთზე საუბრისას მათი თვალების მიღმა მინავლებული სევდა შეუმჩნეველი არ დამრჩენია...

ამასწინათ ძველი გაზეთის მეოთხედი შემთხვევით ჩამივარდა ხელში, სათაურმა „აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლის პოეტური სტრიქონები“ ჩემი ყურადღება მიიქცია.

ანოტაციაში წერია: „საოცრად ძლიერია ყივილი გენისა და მიწისა, ვკითხულობთ მის ლექსებს და მიკვირს, საიდან გამოყოლია ამდენი სევდა ამ ტრაგედიაზე, უსაზღვრო სიყვარული ზღვისა და კერისა?!“ აქვეა ინფორმაცია იმაზე, რომ 15 წლის დათა აბშილავა კონკურსის გამარჯვებული და ფულადი ჯილდოს მფლობელია.

როცა მისით დავინტერესდი „კვალმა“ ზემო ქვალონის გზას გამიყენა, სადაც მასპინძლებად დათას მშობლები თადარიგის პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი, თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატი იგორ აბშილავა და მიმოზა ანთია დამხვდნენ.

აიშალა მოგონებები, ამ ბედნიერ ოჯახში და არა სახლში (რადგან მათ დღემდე საკუთარი სახლ-კარი არა აქვთ და ჯერაც სხვის სახლში ცხოვრობენ) იმდენი სითბო, ინტელექტი, მოყვასის სიყვარული და აფხაზეთის მონატრება დამხვდა, ყველა ნეგატივმა უკან დაიხია.

–ოთხი შვილი გავზარდეთ, ორი ბიჭი და ორი გოგო, დათა 6 თვის იყო მკერდზე პირსახოცით მიკრული რომ გამოვიყვანეთ გუდაუთიდან. დედმამით ჩხოროწყუელი ვარ, მიმოზა თორსელია. აფხაზეთის მოვლენების შემდეგ ბედისწერით თბილისი, კახეთი, მუხური მოვიარეთ, ზემო ქვალონს უკვე დიდი ხანია შევესისხლხორცეთ. შვილებმაც გზა გაიკვალეს, ისწავლეს. გოგოები დათხოვდნენ. მაკა გერმანიაში ცხოვრობს, ორი შვილი ჰყავს–ლუკა და სოფი შტაინერების დედაა, უნივერსიტეტიც იქ დაამთავრა, უკვე საკუთარი ფირმის მფლობელია. ეკა თავისი ოჯახით ქუთაისშია. უფროსი შვილი დავითი დაოჯახებულია. დათა და დავითიც გერმანიაში ცხოვრობენ. ხშირად ვხუმრობ,–მეუბნება ბატონი იგორი, ბაბუაჩემი გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა, მე დღეს ორი გერმანელის ბედნიერი ბაბუა ვარმეთქი.

–შვილები ბავშვობიდანვე შრომას შევაჩვიეთ, სხვა გზა არ გვქონდა, დღეს ბედნიერი დედა ვარ, ამ ახალ წელს მათთან ერთად გავატარებ, როცა ერთად ვართ, ვხუმრობ, ერთ მაგიდასთან ვიკრიბებით სხვადასხვა გვარის ხალხი და საბედნიეროდ, ყველანი ერთად „ვაგუგუნებთ“ მრავალჟამიერს.

აბშილავების ოჯახში შრომით მოპოვებული ჰარმონია სუფევს. ახალი წლის სამზადისი უკვე დაწყებულია...

ვულოცავთ იგორ და მიმოზა აბშილავებს ახალი წლის დადგომას და ნატვრის ახდენას ვუსურვებთ, რომელსაც აფხაზეთში დაბრუნება ჰქვია.

ჩვენ დავუკავშირდით დათას გერმანიაში და მისი რამდენიმე ლექსის დაბეჭდვა გადავწყვიტეთ.

მერი ლაგვილავა

აფხაზეთო

იმისთვის ვცოცხლობ მხოლოდ ამქვეყნად
მჯერა, რომ გნახავ, შენ აფხაზეთო,
შენს ყოველ ქალაქს, სოხუმს თუ გაგრას,
მწამს, დაერქმევა ჯვლავ საქართველო.
    მჯერა, დავჯდები შავი ზღვის პირას
    და ყურადღებით მოვუსმენ ტალღებს,
    გავიზიარებ მათ გულისტკივილს,
    ნუთუ აფხაზმა ესროლა ქართველს?
ვიტირებ, რადგან ზღვა გამიმხელს, რომ
უგუნურებამ დაღუპა ერი,
ცეცხლის პატარა ნაპერწკალმაც ჯი
მოსპო, რაც გვქონდა ჩვენ მშვენიერი.
    ჩვენი სამშობლო გულში დაიჭრა,
    როცა პირველი გავარდა ტყვია,
    გადარჩენისთვის სხვა რომ უნდა ჰკლა
    ამ ბოროტებას ნეტავ რა ჰქვია?!
აფხაზეთი ხომ იყო სამოთხე,
თუმცა, სატანამ დაიპყრო თითქოს,
ვიღაც დაჭრილი ხმამაღლა ყვირის,
უფლისგან შველას ქართულად ითხოვს.
    ჩვილი ბავშვი, რომ დედას დაეძებს,
    და ამის გამო ზღვაც შეწყვეტს ღელვას,
    სადაც აფხაზნი წვავდენ ქართველებს,
    ამას სამოთხე არ უნდა ერქვას.
მსურს აფხაზეთში გავინავარდო,
თავისუფალი, ველურ შველივით,
თუმცა, ვინა სთქვა თავისუფლება,
როცა სახლიდან მე ვარ დევნილი...
    აფხაზს ხომ მაინც ქართველი ჰქვია,
    თუმც სასიკვდილოდ გაწირეს ძმები,
    უერთმანეთოდ არ ვტეხდით ლუკმას,
    ახლა რა ძალამ გაგვხადა მტრები?
დღეს აფხაზეთის სანაპიროზე
ისმის ტალღების ჩუმი გოდება,
წლები გარბიან და აფხაზეთზე
მწარე ფიქრები, არა მშორდება.
    მე იმედი მაქვს ვიხილავ სოხუმს,
    იმედი მუდამ ცოცხლობს, არ კვდება.
    მჯერა, რომ გნახავ, შენ აფხაზეთო,
    მხოლოდ ამისთვის ვცოცხლობ
                ამქვეყნად.

ბედის ირონია

შენი აივნიდან გადმოკიდებული,
სულის მწუხარება, ბედის ირონია,
ისე მეტისმეტად არის დიდებული,
ან ფირუზია და ან საფირონია.
წყლის უკანასკნელი წვეთი იყავი და,
როგორ? უდაბნოში როგორ დამელიე?
მხოლოდ წარსულიდა შენით მიხაროდა,
ის დრო, როცა ერთად ვრწყავდით
                ყამელიებს.
მერე სიცხე იყო, მერე იყო ქვიშა,
მორიელისფერი მგლები, მაქციები.
მერე, ფენჯის ერთი მოსმით გაითიშა,
ქვიშის უთავბოლო ილუსტრაციები.
სულში ვაკუუმის ჭია შესრიალდა,
სხვა რა გზაა, სული რომ არ შეიშალოს,
თურმე, წარსულს ჩემი აწმყო შეშლია და
აწმყოს მომავალი უნდა შეეშალოს!
სიცხე აღარ არის, აღარც ქვიშა ქშინავს,
აღარც მგლები ჩანან, აღარც მაქციები.
ნეტავ ასე უცებ აქ რამ გააჩინა,
ილუზიისებრი დეკორაციები?
მოჩვენებითია თითქოს იხვეწება,
ხედი უჩვეულო მრავალფეროვნებით,
სული, ქანცგამძვრალი, შველას იხვეწება,
შველას პოეზიით! შველას ხელოვნებით!
შენი თვალებიდან გადმოკიდებული,
სევდიანი სულის ბედის ირონია,
ისე მეტისმეტად არის დიდებული,
ან ფირუზია და ან საფირონია.

უსამშობლოოდ

ჩემო ლამაზო საქართველოვ!
                სამშობლოვ ჩემო!
უშენოდ ყველგან უდაბნოა, ქვიშა, საჰარა.
მე ვარ უშენოდ ვიოლინო, უსიმ-უხემოდ,
მიტოვებული ხროვისაგან, როგორც აფთარი,
დავეხეტები დიუნებზე მიუსაფარად.
                რატომ?
არც ვიცი. ყველაფერი არაფერია,
რადგანაც ვიცი, შორს აქედან, სადღაც ერია,
და მე არ ვიცი, მწყურვალია, თუ მშიერია
სამშობლო ჩემი..
მჭირდება გემი,
რომ ჩავჯდე და მტვრიან ტალღებში,
გავცურო სადღაც, აღმოსავლეთ ოაზისისკენ.
და ზურგის ქარი,
მჭირდება ჩქარი,
იალქნებს წკიპზე, რომ დაბერავს,
და არ დახეთქავს...
სანამ სიგიჟის ნაპერწკალი სულში იალებს,
ჩემს გემს ქვიშაზე, მსუბუქად რომ გაასრიალებს,
როგორც ხმელ ფოთოლს მოისხივებს ხოლმე
                ნიავი,
უბრალოდ ისე, არა მტრულად, არა სიავით,
მოიხელთებს და სულ ერთ წამში აზიდავს ცამდე..
ვიცი ოდესმე დამთავრდება გზა დიუნების,
ჩვენ ერთად ცა ვართ,
და ერთად წავალთ,
რადგანაც ყველგან უდაბნოა... ქვიშა... საჰარა...
უსამშობლოოდ ვართ სრულიად, მიუსაფარად!

მიწიერი შემოდგომა

სექტემბერიც თითქმის უკვე მიიწურა,
მიწურებად ჩამოიწნა ლერწმის ღერო,
ვაზმა ნამი მარგალიტად მიისხურა,
დადგა ჟამი საქვევრო და სასიმღერო.
    ყველა ფერის ხეებიდან ჩამოცვივდა,
    ფოთოლი და მიწას უქმნის შარავანდედს,
    ანგელოზნო, რაღას უცდით, ჩამოთ ციდან
    და უფალიც თქვენთან ერთად ჩამობრძანდეს!
მინდა იგრძნოთ მიწიერი შემოდგომა,
რომ ედემსაც ერთხელ მაინც მიუჩინოთ,
მსურს გაღირსოთ ჩვენს სერებზე შემოდგომა,
მაშვრალებმა მკერდი ნიავს მიუშვიროთ.
    მსურს მტევნები თქვენი ხელით გაკრეფინოთ,
    გაგრძნობინოთ სიფაქიზე ყველა მარცვლის,
    მსურს აქამდე მუდამ ლოცვად გაკრეფილნო,
    სურვილი რომ დაგეკარგოთ ცაში ასვლის!
შემოდგომაც მეტისმეტად მიწურია,
მიწნულ-მოწნულ ღობეებში გაძვრა სხივი,
ეს ერთი დღეც ოცნებაში მიმწურვია,
შარშან, თოვლში გამოხდილი არაყივით.

დათა აბშილავა

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

წლის მიწურულს...

გზების რეაბილიტაციის სამუშაოები გადამწყვეტ ფაზაშია

ხეთა

ღელე დარჩაღალუს 2 კილომეტრიანი მონაკვეთი ამოიწმინდება, აშენდება რკინა-ბეტონის მილხიდი, ხიდბოგირი და ნაპირდამცავი გაბიონი. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 98 925 ლარს შეადგენს. ხოლო, ქვემო ქვალონში შიდასასოფლო გზაზე დაიგება ასაფალტის საფარი, რაზეც 186 700 ლარი დაიხარჯება.

ადმინისტრაციულ ერთეულებში სამშენებლო სამუშაოები თებერვლის პირველ რიცხვებამდე დასრულდება.

თორსა

ხობის მუნიციპალიტეტის თორსადღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია განხორციელდა

. პროექტის შესაბამისად:

4750 მეტრ მანძილზე დაიგო ცემენტ-ბეტონის საფარი;

მოეწყო რკინა-ბეტონის მილხიდები და ეზოებში შესასვლელები

დამონტაჟდა საგზაო ნიშნები;

ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულება 1.367.606 ლარია;

დასაქმდა ადგილობრივი მუშახელი.

სარეაბილიტაციო გზა მთლიანად ამორტიზებული იყო, რაც ხელს უშლიდა როგორც ტრანსპორტის, ასევე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და თავისუფალ გადაადგილებას. ეს არის ერთ-ერთი უმოკლესი გზა კურორტ ანაკლიასთან დასაკავშირებლად. 2013 წლიდან დღემდე ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 61 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია.

საგვიჩიო

ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

საგვიჩიოში 3770 მეტრ მანძილზე დაიგო ცემენტ-ბეტონის საფარი, მილხიდები და რკინის ცხაური. გზის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 1 მილიონ 73 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა. სამუშაოზე დასაქმდა ადგილობრივი მუშახელი.

სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების ცნობიერების ამაღლებაზე შეხვედრა გაიმართა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების მიმართ ცნობიერების ამაღლების კამპანიას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების სასკოლო სივრცეში ინტეგრაციის და მათ მიმართ ცნობიერების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.

ბბსამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ თანამშრომლებმა ბავშვის განათლებისა და განვითარების უფლებების დაცვის აუცილებლობის, განათლების უფლების შეზღუდვის შემთხვევაში მშობლის/მეურვის პასუხისმგებლობის, საზოგადოების წინაშე არსებული რისკების შესახებ ისაუბრეს და შეხვედრის მონაწილეთა კითხვებს უპასუხეს.

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრას საგანმანათლებლო სფეროს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხობის რაიონული სამმართველოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხობის მუნიციპალიტეტში სიჩქარის მზომი სექციური „ჭკვიანი“ კამერები აამოქმედა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მართლწესრიგის დაცვის მიზნით, სიჩქარის მზომი სექციური ,,ჭკვიანი'' კამერები აამოქმედა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

კამერები განლაგებულია 6 ადგილზე:

1. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 304-ე კმ-დან (ხობი, სოფელი პირველი მაისი – ზუგდიდი) 310-ე კმ-მდე (ხობი, სოფელი ხეთა – ზუგდიდი). ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ.

2. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 310-ე კმ-დან (სოფელი ხეთა – ზუგდიდი) – 315-ე კმ-მდე (სოფელი ხამისკური – ზუგდიდი). ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ.

3. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 315-ე კმ-დან (სოფელი ხამისკური – ზუგდიდი) 320-ე კმ-მდე (სოფელი ცაიში – ზუგდიდი.) ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ.

4. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 320-ე კმ-დან (სოფელი ცაიში – სამტრედია) 315-ე კმ-მდე (სოფელი ხამისკური – სამტრედია). ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ.

5. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 315-ე კმ-დან (სოფელი ხამისკური – სამტრედია) 310-ე კმ-მდე (სოფელი ხეთა – სამტრედია). ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ.

6. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 310-ე კმ-დან (სოფელი ხეთა-სამტრედია) 304-ე კმ-დან (სოფელი პირველი მაისი – სამტრედია). ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ.

მუნიციპალური პროგრამების პრეზენტაცია გაიმართა

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში ,,სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის“ და ,,ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის“ მუნიციპალური პროგრამების პროექტების (2019 წლის) პრეზენტაცია გაიმართა.

შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსმა შოლინა კანკიამ პროგრამების მიზანზე, მოსარგებლე პირთა წრეზე, გასაცემლების ოდენობაზე და რეგულირების სფეროზე ისაუბრა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ბიუჯეტი 39240 ლარს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი 464900 ლარს შეადგენს. პროგრამები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პრეზენტაციას საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამედიცინო სფეროს და მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხაბავშვო ბაღის ხახურავის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საბავშვო ბაღის სახურავის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 76 734 ლარია, შპს ,,აფო“ ახორციელებს. ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა, გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილემ, ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

სამუშაოები იანვრის დასაწყისში დასრულდება და საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი 15 იანვარს განახლდება.

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

„პოეზია უპირველეს ყოვლისა...“

ახალი წლის ღამეს ბოხორი, სითბო და პოეზია ოხდება. ლექსად ძალიერებული სტრიქონები სიყვარულით გვეძვრებს. ვგიქრობთ, ძმ ახალი წლის ღამეს პოხიციით ტგეძვებთ მოზიციპალიტეტში მცოვრები პოეტების რიხო კიმელიძისა და ია ნანეიშვილის პოეტური სტრიქონები.

მზე სტუმრებია თითქოს

ფიფქებთან თამაშით მოსულა
სითეთრე,
თეთრი სიზმარი ღამის,
სამყაროს აპნისობს მცივანა
ზამთარი,
მზისკენ გავფრინდე ლამის.

ქარივით მიწეწავს გათოშილ
ნაბიჯებს,
ყინულის მზერა მყინავს,
საოცარია თოვლის სიწმინდის
სითბო,
მთავრის შუქზე რომ ბრწყინავს.

ფიფქებთან თამაშით მოსულა
ზამთარი,
დარაჯად დამდგარა ღამის,
თოვათა სითეთრე ანათებს უკუნეთს,
დილას გავექცე ლამის.

და თეთრი ღამეა თავს დათენებული,
მზე სტუმრებია თითქოს,
სითბო და სიცივე ერთმანეთს
ებრძვიან,
რომელი აჯობებს ვითომ?

ბავშვობა

სირბილი მომენატრა მინდვრად
ფეხიშიშველა,
ბავშვობა თითებშუა მტვერში
დავცალე,
წყაროს წყალშია მოცურავე ჩემი
თვალები.
ჩემს მწყურვალ სულს დალევაც კი
აღარ ვაცალე...

გამოვიქეცი... გავეცალე დროის
დაკარგვას,
რაც მაწვალებდა შეუმშრალი ლოყაზე
ცრემლი,
მე ისევ ვეძებ ჩიტებთან ზაფსულის
ღამეს,
სიზმრებთან ვარსკვალავებსაც
უცელოდ ვცელი...

ნეტავი იმ დღის ჯადოსნური
გამთბარი წვიმა,
დღესაც რომ ის წვეთი სახეს
მისველებს,
სად არის ბავშვობა, დავეძებ

მინდრში და...
მომპარეს, გამქურდეს, ცილს ვწამებ
ამ ველებს...

იქნებ პეპლების ფრთებზე ფარფატებს
მალულად,
ან გვირილების გვირგვინს ჩუმად
ჩაებწვნა,
ვითომ, რომელი ბალახის ჩრდილში
მსვენარებს,
იქნება სხეული მზის გულზე დაეწვა...

ფეხშიშველს თითებშუა მტვერთან
დავკარგე ბავშვობა...
მე არ ძალიმიძს ამ ყველაფრის ასე
დათმობას...

ნიჯალა

დუდუკზე სიმღერა ატირდა
დუქანში,
კედლებზე ფერების იშლება
ფარდები,
მთვარალები სიფხიზლეს იკლავენ
სასმისით,
ფრანგ ასულს ხელიდან უვცვივა
ვარდები...
მდინარის ნაპირზე მთვარესთან
მზე დაჯდა,
ბადეებს შორს ისვრის მეთევზე
ნავიდან,
წყალს მიაქვს ზეციდან ჩამხტარი
ნათება,
რაც წყალში ჩაცვივდა, წყალს
გაჰყვა, წავიდა...
გაყიდულ სიმდიდრით,
სანაცვლოდ ვარდს იმკის,
ჰა, სიღარიბემაც თავში ქვა იხალა,
ქუჩებში ღვთისაგან ნაპოვნი
დიდებით,
ნახატზე ფერებად კვალს ტოვებს
ნიჯალა.
და მარგარიტას ალი წვავს ჰანგების,
კედლიდან ფერების სევდა და
დარდია,
მთვრალები სიფხიზლეს
ამსხვრევენ ბოთლებით,
ხელებში მდუმარე რამდენი
ვარდია...

მაშინ

მაშინდელ ზამთარს სხვა გემო
ჰქონდა,
თოვასაც სულ სხვა დაჰკრავდა ეშხი,
ვიღაცა ტყეში შეშას ჩეხავდა,
ბუხრით მოსჩანდა თებერვლის
ეშვი...

ოდა სახლის კარს მიადნა ფიფქი,
კეცზე ნაკვერჩხალს ეწვოდა
ღაწვი,
გაბრაზებულმა სატრფოს წერილი,
მახსოვს, ცრემლებთან ბუხარში
დავწვი...

დაფიფქულ ბილიკს ძაღლი
კვალავდა,
ბაბუს მოჰქონდა ღვინო მარნიდან,
მე გავყურებდი ფანჯრიდან
სოფელს-
და მიხაროდა როგორ
ბარდნიდა...

სხვა გემო ჰქონდა ზამთარსაც
მაშინ,
სულ სხვანაირად ათბობდა შეშა,
ვინ დამიბრუნებს მაშინდელ თოვას,
ან ვინ ამიხდენს ოცნებას ბედშავს...

ნინო კემულარია

საახალწლო

ახალი წელია,ფიფქები მღერიან,
ვდგავარ და სასწაულს ველი.
სულ ყველგან მშვიდობას,სიკეთეს
ელიან-
და დგება ნანატრი წელი.
ფიფქები ცვივა და ზღაპარი მგონია,
ზეცისკენ გავშალე ხელი.
ტუჩებზე ბავშვური ღიმილი მადნება,
მოვიდეს ახალი წელი!..
იმედით თენდება,იმედით ღამდება,
წამი-წამს მისდევს და ვნატრობ..
მეკვლესაც მოველი,სიკეთით
მოვიდეს-
ახალ წელს ველი და ვხარობ!..
იმდენად თეთრია ოცნების ჩქერები,
ვფრთხილობ,რომ ხელი არ ახლონ...
იღვრება ზეცაზე სინათლედ ფერები-
მინდა რომ სულ ყველამ ნახოს...
სიბნელე გაქრება, ფეიერვერკების
მეჯლისი იქნება ცაზე.
ვიცი,რომ ახდება რასაც კი
ვისურვებთ,
ძველი წლის, სულ ბოლო წამზე...
უბრალოდ გჯეროდეს, სიცოცხლე
კარგია,
რომ ყველა ოცნება ხდება...
და ვისაც იმედის სანთელი უნთია,
მის გულში უფალი ჩნდება.

ახალი წელია, ფიფქები მღერიან,
ვდგავარ და სასწაულს ველი.

თუ არ გაიღიმე

თუ არ გაიღიმე, თუ არ გაიცინე,
ისე ეს ცხოვრება შეგშლის!...
თუ არ დაივიწყე ზოგჯერ
სადარდელი,
სევდა უსათუოდ შეგცვლის...
თუ არ მოერიე, აქეთ მოგერევა-
სუსტი ყოფილხარო გეტყვის!..
გულზე გადაგივლის,წვიმებს
შემოგაჩვევს,
სულზე დაღს დაგამჩნევს სეტყვის!..
თუ არ შეებრძოლე,თუ არ დაამარცხე,
მაშინ ვიცხოვრეო გეთქმის?!
იქით დაასუსტე,იქით დაამარცხე-
რაც თავს დაუნდობლად გესხმის!..
თუ არ გააწბილე-აქეთ გაგაწბილებს,
რაც კი გულს ტკივილად ერთვის...
უნდა გაიცინო,უნდა გაიმარჯვო-
შენი სიცოცხლისთვის! შენთვის!..
უკან დაიხიოს ყველა დამარცხებამ,
-„ვხარობ“!-შემოსძახე ექოდ!..
არვის შეუძლია გული გაგიტეხოს-
დარდს რაც დაემონე,- ეყოს!..
უნდა გაიღიმო,მხრებში გაიმართო!
ქვეყნად უფლის ნება მეფობს!..
ბევრი სიხარული უნდა დაიხვავო-
სევდა არასოდეს გეგრძნოს!..
უნდა გაიცინო! გულით გაიცინო!
თითქოს არც გაწუხებს რამე...
დარდი გაიფიქრებს-უკვე
დავმარცხდიო-
ჰოდა, გაიქცევა სადმე!..

* * *

ნაძვები,-ზამთრის პატარძლები,
თეთრად მოხდენიათ სინაზე...
თითქოს ზღაპარია დაზამთრების,-
ფატა გაუშლიათ მიწაზე...
დგანან სისპეტაკე მორეულნი,
მაღლა აწული მაჯებით.
ღმერთის ხელით არის გამოჭრილი,
მათი სადედოფლო თარგები...
ყინვას ალმასებად უბნევია,
მათთვის ჯადოსნური მძივები.
-მერე მზე ამოვა, უთენია,
ყელზე მოეხვევა სხივებით...
მთები, ნაბდიანი ვაჟკაცები,
მრავალჟამიერს რომ მღერიან...
ციდან თოვლის თეთრი ნამცეცები-
ისევ სასწაულებს ელიან...
ნაძვები,-ზამთრის პატარძლები,
თეთრად მოხდენიათ სინაზე...
თითქოს ზღაპარია დაზამთრების,-
ფატა გაუშლიათ მიწაზე...

დეკემბრის თვეში

მე დავიბადე დეკემბრის თვეში,
ფიფქივით მერგო ღიბალი ჩემი...
ფიქრის სიმრავლე,სითეთრე გზების
და თოვლისფერი გრძნობების
თქეში...
თან მომყვა ზეცის მსუბუქი ფრთები,
ფიფქები ბევრი,ძალიან ბევრი...
და ანგელოზის მკლავების რწევით-
მშვიდი მაქვს სული, ცისკენ ვარ
მხრებით...
მე დავიბადე დეკემბრის თვეში,
როცა მთვარედან ვერცხლი იპნევა...
ნიღვარივით ჩაიბნა ჩემში,
სწრაფვა ცისკენ და...მიწის დილემა...
მე ცალი ფეხით მიწაზე ვდგავარ,
ცალ ხელში თითქოს ზეცა მეტევა...
გაზაფხულია ჩემს გულში სწრაფვა...
გააპრილების მძაფრი შეგრძნება...
ჩემი იები მეფიფქებიან...
იისფრად მიმკობს გზას
ღვთისმშობელი...
ჩემს სულში თითქოს მშვიდი
მტრედია,
ფიფქივით თეთრი, მიუწვდომელი...
მე დავიბადე დეკემბრის ბედით,
რომ დასასრულით მოდის ახალი...
ის სიყვარული რაც დამაქვს მკერდით,
სულს შეეყარა როგორც სახადი...
ეს თოვლიანი გზა არის ჩემი,
თუმცა მე მაინც აპრილი მხიბლავს.
იმ ყვავილების სურნელებს ვეტრფი,
რომ სველდება და... მზე პირს რომ
იბანს...
მე დავიბადე მომავლის რწმენით,
რომ ყველაფერი კარგად იქნება...
ჩემში დეკემბრის ფერია ბევრი,
ვარდისფერად რომ გარდაიქმნება...
ჩემი ბუნება არ ცნობს სიცივეს,
ერთი ფიფქივით,ერთი მაქვს ბედი...
მე მიყვარს ჩემი დეკემბრის ღამე,
როცა სიცოცხლეს პირისპირ
შევხვდი...

ია ნანეიშვილი

მრავალ შობა-ახალ წელს, ჩემო ქვეყანავ!

წლის აღმოჩენა – „ოლიმპიური იმედი“

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2018 წელი შეაჯამა და წლის საუკეთესო სპორტული შედეგების გათვალისწინებით, ნომინაციების მიხედვით საუკეთესოები გამოავლინა.

წლის აღმოჩენა–,,ოლიმპიური იმედი“–ევროპის და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, ხობელი ნუგზარ წურწუმია გახდა, რომელმაც 23-წლამდელთა შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულები მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, გაზეთი „ხობის მოამბე“ საამაყო ხობელ ფალავანს გულწრფელად ულოცავს მორიგ, დიდ აღიარებას.

ნორჩმა მოჭადრაკეებმა მრავალგზის გაგვახარეს

2018 წელი ნაყოფიერი გამოდგა ხობის ბავშვთა მოზარდთა სასპორტო სკოლის მოჭადრაკეთათვის (მთავარი სპეციალისტი ჟიულერ პაჭკორია, მწვრთნელი ირაკლი გეთია) ჩვენ ვამაყობთ, რომ სწორედ ამ წელს დაფიქსირდა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ანალოგი არ აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჭადრაკის სამყაროში.

ჩვენმა აღსაზრდელმა 13 წლის დიანა ლომაიამ საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის ღირსება დაიცვა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

12 წლისაა კიდევ ერთი ჩვენი აღსაზრდელი თეიმურაზ კვიკვინია, მაგრამ ის მთელი წლის მანძილზე სოლიდურად გამოიყურებოდა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებზე.

სადაც არ უნდა იყვნენ ორივე მათგანი და ვისი სახელითაც არ უნდა ასპარეზობდნენ, ორივე მათგანი ჩვენთვის ფასდაუდებელი და ჩვენი საჭადრაკო სკოლის შემოქმედების გვირგვინია. ჩვენ გულშემატკივრობთ და ვამაყობთ მათი მიღწევებით.

წლის ნომინაცია 2018 წლის საუკეთესო მოჭადრაკე გოგონა და ვაჟი ხობის სასპორტო სკოლაში მომეცადინე ბავშვთა შორის უდაოდ ეკუთვნით 13 წლის ლიკა ჭანტურიას და 12 წლის უნიჭიერეს ნიკა ბუკიას. მათ აქტივშია თავიანთ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონობა და პრიზიორობა საერთაშორისო და რესპუბლიკური მასშტაბის ტურნრზე (ფოთი, სამტრედია, ამბროლაური, სენაკი) გვჯერა, რომ ისინი კიდევ ბევრჯერ გაგვახარებენ.

2018 წელი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ გამოჩნდნენ სრულიად ნორჩი დებიუტანტი მოჭადრაკეები, რომელთაც უკვე პირველი წარმატებული ნაბიჯები გადადგეს რესპუბლიკურ ტურნირებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია უდაოდ პერსპექტიული 7 წლის გიორგი იოსავა, ანდრეა კუკავა და ანასტასია ბუკია. მათ მშობლიური სკოლა ახლახანს ფოთში ჩატარებულ ტურნირზე ასახელეს. ასევეა 10 წლის მარიამ ლაგვილავა ფანტასტიური გოგონა, რომელიც ჩვენ ძალიან გვეიმედება.

ძალზედ ცოტა ითამაშა, მაგრამ ლიდერის პოზიცია ღირსეულად იტვირთა თორსის საჯარო სკოლის XII კლასელმა გიორგი ლატარიამ, რომელიც მომავალი წელს სკოლას ამთავრებს და გასაგები მიზეზების გამო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდის.

ასე, რომ 2018 წელი წარმატებული იყო და გვჯერა, რომ 2019 წელიც არანაკლებ წარმატებული იქნება. დაგვბედებოდეს გამარჯვებები.

ირაკლი გეთია,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე და მწვრთნელი.

როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს ჩვენი წინაპრები?

სერგი მაკალათია მოგვითხრობს: სამეგრელოში ახალ წელს დილაადრიან ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთული ჩიჩილაკით და ღომის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალი წლის მოსალოცად. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებს, ჯამს იქვე მიუდგამს და თვითონ საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზეც ალაგია: ღორის თავი, ბასილა თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებს“. საუზმის შემდეგ კი დაიწყება თუთის წკნელებით საახალწლო მილოცვები.

როგორ უნდა შევხვდეთ 2019 წელს და როგორი წელი გველოდება

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით 2019 წლი გარეული ღორის წელია, რომლიც ბევრ სასიკეთო მოვლენას გვპირდება. მოსალოდნელია ბევრი სასიკეთო ცვლილება. ხალხი ნანატრ სიმშვიდეს მოიპოვებს.

ასტროლოგები ადამიანებს დასვენებასა და ახლობელ ადამიანებთან მეტი დროის გატარებას ურჩევენ.

ამ წელს დაბადებული ადამიანები პრაგმატიზმითა და მაღალი ინტელექტით გამოირჩევიან. მათ ყველაზე რთული დავალებების შესრულებაც კი შეგიძლიათ დაავალოთ. დავალების შესრულებს ხარისხზე შეგიძლიათ არ იდარდოთ, ის უნაკლო იქნება. ეს ადამიანები ძალიან პუნქტუალურები არიან და ვერ იტანენ უპასუხისმგებლობას.

ამ წელს დაბადებული ადამიანები არასდროს ხლართავენ ინტრიგებს და არასდროს იტყუებიან. ისინი შესანიშნავი მეგობრები არიან.

ღორები ოჯახში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ და ის ნახევრები არინ, რომლებიც მეორე ნახევარს არასდროს ღალატობენ და ტოვებენ. ძალიან მიზანსწრაფულები არიან და დასახული მიზნისკენ ყოველთვის დაუღალავად მიილტვიან, არ იშურებენ ძალასა და ენერგიას, ფულსაც კი.

როგორ შევხვდეთ 2019 წელს

როგორც ყოველთვის, ახალი წლის შეხვედრა ამ წელსაც უმჯობესია ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების გარემოცვაში. ფერთა გამა ძირითადად ყვითელ-ოქროსფერი უნდა იყოს, ასევე ყავისფერი.

რაც შეეხება სუფრას-თავს ნურაფერში შეიზღუდავთ. შეგიძლიათ მოამზადოთ ყველაფერი, ხორციანი კერძები და ბოსტნეულის სალათები, იქონიეთ უხვად ხილი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.